

კლეიტონ ეშელმანი  
პადესი მარგარეთი

**Clayton Eshleman  
Hades in Manganese  
Poems**

Translation from English, conversation and  
afterword with the author by  
**Irakli Qolbaia**

გამომცემელი: დათობარბაქაძე

წიგნი გამოიცა მთარგმნელის ხარჯით

გამოცემა განკუთვნილი არ არის  
პოეზიის ბიზნესში დასაქმებულ მოკალმეთათვის.

პირველი გამოცემა  
გამოცემის ბიზნესში დასაქმებულ მოკალმეთათვის.  
თბილისი 2019, აპრილი

ISBN

## კლეიტონ ეშელმანი

### პადესი მარგარეტი

ლექსები

ინგლისურიდან თარგმნა, ავტორთან  
საუბარი და ბოლოსიტყვა დაურთო  
ირაკლი ყოლბაიამ



## **განლაგების: "ახალი უდაგურობი"**

**ჯერომ როთენბერგს**

სატანჯველი, კარი, ლეპორტელი, დაკბილულ კლდეზე გადახრილი სხეული, შლამში, წყვდიადში მხოხავი, რათა საკუთარ თავის ღილს მიაკვლიოს - ანდა შეხსნას იმ ბუნდოვანი გალიის ღილები, რომელშიც ადამიანი და ცხოველი ქმნიან კოპულას - ან იქნებ ერთმანეთს განფოხვრავენ? ან, იქნებ, უკვე ქვემდებარე და შემასმენელი არიან ამ ამნიოტური მღვიმის ჰაერში, შეჰყურებენ რა ერთმანეთს სიტყვის ბარიერის გადაღმა, რომელიც ხორცია?

\*

ნახატი ხელის გაწვდენაზეა, ჩემი ფოკუსი ჩემი წვდომის საზღვარია. სადაც მე ვმთავრდები, სხვა იწყება. და განაყველა ხელოვნება, რომელ-

იც ჭეშმარიტად გვაღელვებს, "სიბნელეში",  
"კედელთან" არ იქმნება? ოლსონის ჩურჩული  
(ლოცვა),  
"(საზღვარო)  
გაქრი"

\*

მე ვიმუხლები დედაჩემის თაღში, ვჭამ, ბნელ-  
ეთი მიხმობს, ამიტომ განვაგრძობ, მივხოხავ  
არ ვიცი საით. ჩემი მხრის განვდენაზე ხოხვის-  
გან მოგვრილ შიშს აჭარბებს განცდა, რომ შეი-  
ძლება სრულად გამოვხოხდე ჩარჩოდან, რომ-  
ლითაც დედაჩემა მომზომა - მაგრამ გაგრძე-  
ლება, საბოლოო ჯამში, ჩემს უმბილიკურ შესა-  
ძლებლობაზე შემობრუნებას ნიშნავს. უკანა  
გზაზე, ქვაზე ვჩხაპნი იმას, რაც შეიძლება ისე  
გავიგოთ, რომ მას შემდეგ, რაც ცხოველად ყო-  
ფნა შევწყვიტე, აღარ მცოდნია საკუთარ თავს  
რა მოვუხერხო.

\*

არტოს სიძულვილი სიღრმისადმი, მისი სიცო-  
ცხლის ბოლოს. ყველა ჭეშმარიტი ქმედება,  
მოთქვამდა ის, ზედაპირზე ხდება. მიღმა? არ-  
აფერი. დაბლა და მაღლა? არაფერი. ამავდროუ-

ლად, ის ნატრობდა, ორგანოებისგან დაცლილი, მარადიული ყოფილიყო. ჯეიმს ჰილმანი წერს: "ყოველი ხელახლა დაბადების ფანტაზია, ფსიქოლოგიაში, შესაძლოა, სიღრმისგან თავ-დაცვა იყოს." თუკი ლამის მღვიმიდან ამოსვა შესაძლოა ნიშნავდეს ცოდნისადმი სიღიავეს, - რომ მღვიმე არასდროს დაგვიტოვებია -, მა-შინ ხელახლა დაბადება სიღრმის ანტაგონიზ-მად აღარ გვევლინება.

\*

ქვესკნელის აგება ზემო პალეოლითურ მღვი-მებში დაიწყო. ამ "მშენებარე ადგილის" სახ-ელდებისთვის მე უფრო გვიანდელ ბერძნულ სიტყვას, "ჰადესს", ვიყენებ. სწორედ აქ ჩნდე-ბა ფსიქეს პირველი, ჩვენთვის ცნობილი, გამ-ოვლინება. მღვიმეში ყოფნა ნიშნავს, იმყოფე-ბოდე ცხოველის შიგნით - საშვილოსნოში -, მა-გრამ მასში ხატვა სხვა სახის დაბადების ძიებ-ას ნიშნავს; ადამიანურისგან გამოყოფილი ცხო-ველურის კრიზისთან მორგება - ესე იგი, პირ-ვანდელი დაცემა. იმყოფებოდე შიგნით, დამა-ლული, იმყოფებოდე ჰადესში - სადაც ადამი-ანი ცხოველში იმალება.

\*

ნახევრადცნობიერი ჭვრეტა აკლდამის კარ-  
ებთან. ხეტიალი სახე-ხატების მრუდე ფანჯ-  
რებში. ცოდნა იმისა, რომ მათი ყურება, საუკე-  
თესო შემთხვევაში, სიზმარში ჩახედვაა მხო-  
ლოდ, რათა მღვიმის კედლის ფოსოს შევეხოთ,  
რომელშიც ცხოველწოდებული ჭავლი მიედინე-  
ბა. მისი უდრეკი დრუნჩი სინესტით აკურთხ-  
ებს ჩემს მომაკვდინებელ ხელისგულს.

\*

ვინაიდან დაფარული უძიროა, მთლიანობა მე-  
ტად უხილავია, ვიდრე - ხილული. მოთხოვნა  
მთლიანობისა, რომელშიც სიცოცხლე მთლი-  
ანად ხილულია, არის ანგი-სიზმარი, მღვიმე-  
დაკარგული ჰადესი, სატანა, რომელიც მხოლ-  
ოდ დედამინაზე ცდილობს თავისი სამეფოს -  
ან სიკვდილის ბანაკის - დამკვიდრებას.

\*

როცა ქრებიან სახეობები, ზემო პალეოლით-  
ური მეტ სიმკვეთრეს იძენს. როცა ქრებიან  
ცოცხალი ცხოველები, პირვანდელი მოხაზულ-  
ობები იძენენ ღირებულებას, არა როგორც  
დღის სამყაროს ანარეკლები, არამედ - ფსიქეს

პირველქმნილი ნიშნები, ქვესკნელის ჩამოყალ-იბება, ჟამი, როდესაც ჰადესი ცხოველი იყო. "ახალი უდაბურეთი," ამრიგად, ცხოველური სიცოცხლის გასვლისა და, ჩვენს დროში, ამ პი-რვანდელი მოხაზულობების დაბრუნებისგან ქმნილი სპექტრული სივრცეა. ჩვენი ტრაგედია ისაა, რომ უფრო და უფრო შორეულ სიღრმეში ვეძებთ ერთიანი არარასობრივი ხის ტანს, რომ-ელშიც ცხოველური არ ემიჯნება ადამიანურს, მაშინ, როდესაც ვანადგურებთ კორდს, რომ-ელზეც დღესდღეობით ვდგავართ.

## იორუმომადოს ნიგენი

მაგიდაზე ყავა, მე მარტო

- ნელა, დარწმუნებით, გადადიან  
ნამცხვრის ქერქზე,  
გზად კოცნას ციცქიან,  
კო.  
ძმებო,  
ჩვენი ჩანაწერი არაფერს  
ცვლის

*... tu luego, has nacido, eso  
tambien se ve de lejos, infeliz y callate,  
y suportas la calle que te dio la suerte ...*

- ინტერვალი.  
ყოველი წამი, საშიშად, სრულებით,  
სხვადასხვა ადამიანია.

\*

დაუჯერებელია იორუნომადოს ყავახანის ძალა. პირველად რომ მოვედი, მკრთალი მზის სხივი გაჰყვა განიერ, შიდა ეზოზე გამავალ დერეფანს, ეზოში ციცქიანი ნაზი სიწითლით

ელვარებდა, ცხაურიდან. ბნელ ჰინოკისთან - ფარები - ქარვისფერ ნათურასთან ავიღე მაღალზურგიანი მენამული სკამი. შანსონი იყო ჩართული. შორს, შიდა ეზოსთან ახლოს დედა და შვილი დამსხდარიყვნენ. ჩემს სიტყვას მტკივნეული ოქროს შვება ახლდა, არგამოთქმული; იდლვიბებოდა ჩემში, ორთქლდებოდა. დღეები, როდესაც ყველა სქემა ვცადე: ციკლი, მდუმარება და ლმერთი. აღმოვაჩინე, თურმე დუმილი მუსიკის ბოლოს ებმის მხოლოდ. გავაცნობიერე, ერთმა უნდა შეხედოს მეორეს. თუნდაც კლდე იყოს, მეორე ბალია. დაუჯერებელია გრაფნილი, მოჭრილი და ოთხი ხელით დაჭრილი; მაგიდაზე წერილი ბაშოსგან, Le Pont Mirabeau. მე მნამდა ჩიხის, ლირსების, და აღტაცების. იორუნომადოს ყავახანამ შეადგინა კაცის ენა.

\*

და ბნელ გუბურაში დაბლა  
თხელი ალისფერი კო  
უძრავი  
სიყვარული  
ლვივის და იხარჯება ჩემში

\*

როგორც ალი ხორცშესხმული, ხმები  
ისვრიან ხავსიან ქვებზე. დაწიე ფეხი:  
ევროპა ციმციმებს სინათლედ, პარიზი  
სიცხემხურვალედ ირხევა.

მაგრამ ეს აგურის კედელი. ეს ნედლი თიხა  
არ აქვს მნიშვნელობა როგორ მსურს  
გავხეტიალდე, ვიყო მენამული ალამი  
გაშლილი ჩაღამებულ სპირალურ ცაში -  
ეს ინდიანას სისხლით მოთხვრილი კედლის  
ხელი...

ო სიყვარულის განზომილება, რომელიც  
წარმომედგინა ო  
ნაშენი რომელშიც, თუმცა შიშის ზარი  
დიოდა, ენერგია არ იკარგებოდა...

ალი გახლეჩილი, ბობოქარ ცეცხლში  
ამდვრეული ხმები, ზღვა  
- არა. ამ რკინის  
სკამიდან: კოისგუბურა. ვარდისფერი მამალოს  
ოქრო; გაპუტული ქათმის სივარდისფრე  
ჩირქისფრად ყვითელი თავით; და ის -  
სიზმარი, გაბოლილი იისფერი  
მთვარე რომ აძლევს სხვამხრივ შუაღამეს...  
ოთხი ზოა -

ახალი ცხოვრება. ზედაპირზე ტივტივებს  
მუნგი  
რომელიც მან ჩაიდო პირში

სრულყოფილი  
შორეული,  
გონგი

ჩემი ენა სავსეა ტალახით და მძღნერით.

ნუთუ მეტისმეტად დიდი ნახტომია იმის  
წარმოდგენა  
ამ წყლებიდან ბრინჯი შეიძლება  
წარმოიქმნას,

ყვითელი,  
კობრი, მწვანე კობრი?  
- იქით, ჯერაც  
კოურებიანი ლოტოსის ქვეშ, ის  
თეთრმისხმული წითელი მუცლით,  
ფეხმძიმე, ვინაა ეს ქალი?

\*

რა მოთხოვნაა. მე  
ბრმავარ როგორც დამურა-  
ლმერთი. არაფერი შემიძლია.

მას სისხლი სდის  
და ჩემი აბრეშუმის ჭია ნახევარმთვარეს ჭამს  
თუთის ფოთოლში

მას სისხლი სდის  
და ახლა მესმის მისი უკმარისობა

სიტყვა არ კმარა  
არც მწუხარება.  
ჩავუყევი საავადმყოფოს კიბეებს -

**რა არ დაბადებულა არასდროს?**

\*  
შიჩიჯოს ხიდზე შევჩერდი,

დღე ნისლიანი,  
მშვენიერი, შემზარავი... კამოგავა ჭკნება,  
შრება სამუდამოდ,  
მიიკლაკნება კიოტოს სამხრეთის  
ქოხმახებით...

დაბლა, ნაგვიან ტალახში,  
კაცი დანას უყრის თუნუქის ქილებს და  
კანალიზაციის წყალს,

თავისი ჩამოძონძილი ხაკისფერი შინელითა  
და ჯარის წვივსახვევით  
უსინათლო ადგილას ამოვყავი თავი

(ის წამოიმართა  
ქვის ჯებირზე გადმოგდებულ ბანრის კიბეზე  
მხარზე გადაკიდული ჯუთის მოფლაშული  
ტომრით  
ხეივანში გაუჩინარდა  
შინ? სახეებისკენ?  
რას  
გამოვხატავ როდესაც ვწერ?  
დანებს? თუ მზის სხივს?  
და ყველაფერი  
რაც ცოცხლობს წმინდაა გამიელვა გონებაში

გზად შინისაკენ,  
შევჩერდი სანჯუსანგენდოს ნარინჯისფერი  
კარიბჭეების ქვეშ, შიგ  
მწვეთავი ლავგარდნის ქვეშ, მყუდრო,  
შევნიშნე მავთულხლართის წნული  
მარყუჟად გადავლებული სარებზე  
რომლებშიც შევაბიჯე

და მერე მივხვიდი)

## შენთვის მოვკლავდი

### დუენდე

მოქუფრული, ცა, ლანჩის მერე, გარბოდა. უფერო ჩაბნელებული სიცარიელე. სამეზობლოში სრული სიჩუმე. სიარულისას, სინათლე მსდევდა თავსუკან. იფანტებოდა თვალის კუთხეებში, ცივად ბუნდოვანდებოდა. უნდა მოვიცვალო ჩემს სახეზე მეტი. თითქოს ეს ყავისფერი სახლები, ეს დამდგარი ხეივნის წყალი, ერთადერთი სინამდვილე იყოს. უნდა შევცვალო ჩემი მოხაზულობის კონტურზე მეტი.

ისე უნდა იყოს, რომ უმცირესი ხავსის იარა წვიმით დასერილ ღობეზე სიამეს იწვევდეს. და მოხუცი კაცი, ჩაცუცქული თავის კიბის საფეხურებზე, ჩვარს რომ წურავს, იწვევდეს ქებას. და როდესაც კაცი იღიმის ჩემს გონებაში, ბავშვებით უნდა გაიგსოს ხეობა, თეთრმა ღრუბლებმა ზეგადაიარონ კაშკაშა ლურჯი სამოთხე-ები ცურუგინომიას თავზე.

როცა მდედრობითი პრინციპი იმარჯვებს, თქმულა, ეს სინათლის დაბნელებაა. აგრეთვე,

არ თქმულა, ესაა წერტილი, როდესაც, შიჯიროს  
ხიდის გადმოკვეთისას, ჯებირის ქვიდან მეცა  
ოდნავ თევზის, ტკბილი, შარდის სუნი: ვაიებ-  
ოს სურნელი -

რომლისგანაც ვისწავლე: რასაც კი ვგრძნობ,  
ყველაფერი ადამიანურია, უარეს შემთხვევა-  
ში ადამიანისებრი. და - ის რაც შეიძლება დაბ-  
ნელდეს, არაა უსინათლო. გულწასულობა სიცა-  
რიელის ზურგს მიუყვება, მრავალოთახიანი  
მზის ჯოგს აძოვებს.

მე შევედი იორუნომადოში,  
დავჯექი, ვთარგმნიდი,  
ღამისფანჯარა.

ყავამ ჩაისუნთქა  
ციცქნა  
ღრმული -

როგორც პეპელა, შავი, თვლებით შემკული,  
ეშვება  
გვიან ზაფხულობით, გაქვავებულ ნეხვის  
ხვეულზე,  
ასევე მეც, ნათელი ავუშვი მის ხერხემალზე

გვერდები მიპქონდა ეზოდან შემოსულ  
ნიავს

ერთიმეორეს გადავეჭდეთ. მე მას კბილები  
ჩავასე

ყელში, მუშტი შევკარი, მისი ეშვები  
ყვერებში შემესო, გადაჭდობილნი  
მომაკვდინებელი ტკივილის სპაზმებში,  
ვტრიალებდით, მე  
მის სუნთქვას დახარბებული, რომ მეთარგმნა  
ჩემი ყვირილი მის ოქროდ, ღმუილით, ის  
მგლეჯდა საკვებად

გადაჭდობილი, ერთმა თვემ განვლო, და  
რამდენადაც ის მჭლე ხორცს იდებდა  
მე მით მეტად ვდუნდებოდი, ვილეოდი, და  
ენერგიის გასამმაგებით  
ვიღებდი სისხლს, ეს არ იყო რასაც ვეძებდი,  
კუნთები  
კუმშვით ფართოვდებოდნენ, ის მოკვროდა  
ჩემს აგებულებას, აქცევდა  
ნივთიერებას, მკვდარი მატერია  
ჩემი იოგებით იყვეტებოდა, და დავინახე  
ლრმად, მის შიგნით, ორმო, მოწყვეტით  
ვისკუპე შიგ, ვიქეცი დანად

და ჩავეშვი, მიწიდან  
ცივად ამოვერჭვე.  
საძაგელმა სუსხმა გაიელვა -

კიდევ ერთი თვე, ცბიერებით,  
მან ქვად იქცია თავი

მეტად ვდუნდებოდი, ჩემივე კბილებს  
ვიღესავდი, ვიღვიძებდი,  
მომდევნო თვე, მთელი სეზონი.  
დავხეტიალობდი,  
კენჭებიანი ნარევი, ქვით ხელში.

ვხედავდი, რომ ჩიხი დავბადე, მაგრამ  
იაპონია  
საშველი არ იყო - სანამ სეპუკუს  
ფეოდალურ რიტუალში გზა არ ვიხილე.

კენჭებზე ჩავიმუხლე ქვისებრ.  
რის შემდეგაც ვაიეხოს სპექტრი აღიმართა  
ჩემს წინაშე: მღვდლის შავებში, პირქუშად  
როკაზე,

წესისამებრ მოიყარა მუხლი. თავისი მარაოთი  
ხარის თვალი დამახატა ნაწლავზე;

მოწყალება არ მოიღო; მე გავჭერი.

მამის თვალები დედის მილები  
ცურავდნენ ჩემი სისტემის მჟავებს. როგორც  
უმ თინუსს  
ჭრიან მრუდე გასროლებით ფეხის

მოუცვლელად ავხსენი იორუნომადო  
ჩემი საკუთარი საფლავის რთული  
ნაქვაბულარიდან.  
ვაიეხომ შეასრულა პირობა:

ერთი წლის მანძილზე არავინ ყოფილა  
საკუთარი თავის გარდა

სალამი ყველაფერს რაც ოდესმე განმიცდია...

რადგან ეს იყო წამი როდესაც კალამმა  
გამოხრახნა და ახსნა  
სასიცოცხლოდ საკმარისად ძლიერი ეგო

\*

ამოძრავებულმა მსახურებმა  
ჩამორეცხეს და მოფოცხეს კენჭები.  
გაღრმავებული ჩრდილები - ისინი

იკვეთებიან, განიკვეთებიან, კვლავ  
იკვეთებიან,  
მოქანავე მხრიოლავი ნაკვერჩხლები,  
ლაქლაქებენ.  
ერთმა, ჭალარამ, ძირიდან აიღო მოლივლივე  
ჩონმაგე,  
დაიკრიჭა, და სათლში ჩააგდო.  
მოშორებით, ამ უცნაური ადგილის შიგნიდან,  
ჩუმი ქვითინი გაისმა.  
თუმცა ერთზი იყვნენ ის ვინც გაჭრა და ის,  
ვინც ბრალს სდებდა,  
ქვითინი მეტისმეტად ალალი იყო - ბატონისა  
ვერ იქნებოდა.  
პოემის გულში ალარ იყო  
ყოყმანი ძალაუფლების წინაშე.  
პლატონორმას, რომელზეც მასალა მოიჭრა და  
ჩამოყალიბდა,  
სწორედ ამ პლატონორმას უჭირავს მეორის  
სიცოცხლე.

"დამეხმარები?"

მივტრიალდი და დავწერე:  
მე მივსეირნობ და ბარბარას ხელი მიჭირავს  
ხელში, მდელო

საუკუნეებზე ნელი ჩვენგან შეუმჩნეველი

მაგრამ ვაიქმომ დაიჟინა: ". LA MANO, HE  
DICO."

შენ მაღლა-მაღლა მიიქაჩებოდი იძირებოდი  
შენს იდაყვებს შორის, დაჭიმული,  
და ამოტრიალებული თვალები  
იყვნენ მუცელმოშლილი ქალი.

ფეხზე მდგარმა, ხელი გავიწვდინე  
შენი ზურგის კამაროვანი კედლისკენ  
და მოვდუნდი შენს ქვეშ  
ღამის ჭურჭელი.  
შენი ზურგის ნესტიანი სითბო რომ მივატოვე  
დავჯექი, შენი დამსხვრეული ოცნებები  
ან განუცალკევებადი ჩემებისგან.

\*

შემოსული ჩემში მერე პურის ნამცეცში პირში  
რომ ჩაიდო, ნაზად გამავალი ჩემი სახის მიღმა  
ვაიეხოს წერტილი, მისი ადამიანური სახის  
თხრილი და დიდება, ჩემს ტუჩებში მისებმა,  
შაბმშრალად, გაიარეს, და მათთან ერთად ჩემ-  
მა სიკვდილის სურვილმა. მყარადნასკვული ში-

გნეულობა მოეშვა, გასცა, ხელისგული გაშალა პურისთვის და მოპეშვა, ყვავილი, გადამჭკ-ნარი, იშლებისურებოდა, მუქი წითელი ყვავილი ძრული სამოთხის უღლელი ძალით, ზმნა ტეხ-ილად მორბენალი, თავდაპირველად შეშლილი, მერე ნაზი, მფეთქავი, როდესაც სუტრა ამოძ-რავდა, ბნელი მონოტონი ჰორიზონტალურად მოძრავი დაბინდულ ბასზე, მარცვალზე მარ-ცვალი შერწყმული, როდესაც შერწყმა-რთული ამოძრავდა თან მარტივი მიჰყვა მისგან ორ ნა-ბიჯში - ვიგრძენი როგორ დაეშვა სტროფი, და მარჯვნიდან კვლავ ჩემში როგორ შეედინა ცე-ცხლის გავლით შენსკენ რომ მოქროდა მარცხ-ნიდან, მინდვრიდან მინდვრამდე, ირეოდა, მწი-ფდებოდა, დინება ჩაიმუხლა და ლოცვა თქვა ჩემს სუნთქვაში, გაცურდა ჩემი სკამისა და მიკვრის გავლით, თან აკოცა ჩემს გულს ფრ-თაზე, რომელიც განიწმინდა, დაიხვა, გაიშალა.

[მთარგმნელის კომენტარი: "იორუნომადოს წიგ-ნი" 1964 წელს დაიწერა, როდესაც პოეტი კიოტო-ში ცხოვრობდა. იმხანად, საკუთარი პოეტური შე-გირდობის სახით, ის ყოველდღიურად მიდიოდა იორუნომადოს (იაპონურად: "დამის ფანჯარა") ყავახანაში და იქ პერუელი პოეტის, სეზარ ვაიეხ-

ოს ლექსების თარგმანებზე მუშაობდა. ორ პოეტს  
შორის ამ ჭიდილს აღწერს ეს ლექსიც, ხოლო იორ-  
უნომადო აქ პერსონალური მითოლოგიის ფიგურ-  
ად იქცევა, რომელსაც ეშელმან-ვაიეხოს ბრძოლა  
ათავისუფლებს, წარმოსახვითი ჰარაკირის გზით,  
ეშელმანის მზის წნულიდან, და ახალგაზრდა პო-  
ეტს საკუთარ ენას აპოვნინებს. იორუნომადო შე-  
მდგომშიც ეშელმანის "შემოქმედებით თანამგზავ-  
რად" დარჩა.]

## 306სენტ ვან გოგის პორტრეტი

მე ხელს გავაჩერებ ამ ცეცხლში  
რათა მას ველაპარაკო, საკმარისად  
დიდხანს დავრჩები ამ სამყაროს ცეცხლში,  
რათა

მას ველაპარაკო, ჩემს თავს მოვათავსებ  
ჩემივე მფარავი ქერუბიმის ხელში რათა  
მას ველაპარაკო, რადგან არ ვცდილობ  
მასზე ქორწინებას, არამედ მსურს მას  
ველაპარაკო,

ღრმად მაღაროში, კედელში  
რომელსაც ვძურდავ, ჩემი სიტყვა ჩემი  
ხელოვნებაა მისთვის, შემიძლია  
მოვიყავო, ზურგი ორად გავიკეცო, შემიძლია  
მათხოვარივით უკუგადავიხარო ქუსლით  
კეფაზე

ძილში, მაღაროში სანამ ისინი ფეხებში  
ედებიან,  
აკვდინებენ ლაპარაკობენ მისგან, მკვდარი  
სპირალები

დამით ვარსკვლავები ეკიდებიან ავბეჭით  
ადგილებში  
ისინი თავებს ადებენ ერთმანეთს, სიკვდილი  
მიმყავს იქ

სადაც მათი თავები შეტყუპებულან, სადაც  
დედა დაკარგულა  
ღმერთი რომ რეცხვით ათავისუფლებს, მასაა  
რომ უნდა ველაპარაკო,  
რადგან ისაა ჩემი მფარავი ქერუბიმი, ჩემი  
კედელი და  
ნახვრეტი მასში, ჩემი კედელი და  
ნუშის ხის ტოტი, მე ჩავეჭიდები  
ამ ცეცხლს 10 წლის მანძილზე, ჩემი ხელი  
მასში

ბიბლიური მოძრაობა, ადლვებილი  
სკამი, ადლვებილი სანთელი ადლვებილ  
სკამზე,  
სკამი ცის მდლვები, ჩემს ოთახში, იმაში  
რაც ძვირფასია, სანთელს ვათავსებ ამ  
ფსკერზე,  
დედობრივი ფლობის სარდაფში, იქ ვათავსებ  
რომ იგიზგიზოს  
ისირინვეროს სადაც ვარსკვლავები  
გამოკიდებენ  
ავბედით სავარძელს, სადაც ვარსკვლავები  
სირიკლანჭებიან,  
სადაც მოთხოვნები იდლვიბებიან, სადაც  
ჩემი სახელი  
ნაკელი, ჩემი სახელი ვინსენტ ნაზიარებია

გლეხი,ჩემი, მისი ტრაკი აზნექილი - მაგრამ  
მისი გახლეჩის სურვილი არის  
სურვილი გახლიჩო ნაცნობი სამყაროს  
საზღვრები!  
მე ვიყავი იქ სადაც სხვები ნამყოფობას  
იჩემებენ,  
მე ვიყავი ზეთისხილები ნაგები იერუსალიმი  
ლურჯი მთები  
ჩემი სიყვარული ჩავლვარე კვლავ  
მართკრუნჩვაში, ეს მართ  
კუთხა, ეს ძვლის საერო-სახლი, მე ნელა  
ვიწვი  
რემბრანდტის სახლში რომელიც, სადაც  
ცეცხლი რომელშიც მე ვარ არის  
პუდრა, არის უწყვეტობა, და არის კიდევ ეს  
გატეხილი  
მართკუთხედი, გატეხილი სამკუთხედი,  
გატეხილი  
ცალი ხაზი - მე ხელს გავაჩერებ ამ ცეცხლში  
დაველაპარაკები მას რამდენადაც ვიცი  
სამყარო მხოლოდ თვალის მოკვრაა  
ჩემი გვირაბის კედელზე, ნუშის ხის ტოტი  
ბავშვისთვის,  
მაგრამ ცხოვრება, თვითონ ცხოვრება!  
ჩემთვის! აბზეკილი ტრაკი პრეისტორიული

შესასვლელი, კარს არ ვპასუხობ რადგან ვიცი  
არტო აკაკუნებს, მინდა შევიდე იმ ტრაკში  
და დავხატო, მინდა გამოვიყენო მისი  
ორგანოები და დავხატო მისი  
შიგნეულობა, ავიღო მისი ორგანოები და  
გამოვიყენო მისი სისხლი რათა დავხატო  
მისი დაბურძგლული ხვეულები, ნუშის ხის  
ტოტი ბავშვისთვის,  
ნუშის ხის ტოტი ჩემთვის, ვარდი, ბალის  
ტუხტები, კვირისტავები, იორდასალამები,  
იაჟუჟუნები, მიხაკები, გლადიოლები,  
მზესუმზირები,  
გეორგინები, წითელი ყაყაჩოები, ცინერარია,  
დეზურა, ასტრა,  
იასამნები, ზიზილები, ფრინტები, მე მისი  
მუტლიდან გამოვედი  
მინდა მისი ტრაკის გავლით დავბრუნდე, ჩემი  
მფარავი ქერუბიმი  
საკენკას კენკავს ეზოში, ჩემისთანა ქათამი  
თავს არაფრით ირთობს, მხოლოდ ის  
შემიძლია  
დღეში 8-9 საათი ვხატო, ჩემი შეტევა ჩემი  
დაცვაა,  
ფრთიანი თესლი, ჩემი საკუთარი სული  
ანგელოზური, ჩემი თესლი

ჩემსავე სურვილს დევნის ო ჩემი ხალხი,  
ყველა ვინც უნდა დავხატო  
შენთვის! მართლარომ გარდავქმნა სამყარო  
იასამნების,  
ზიზილების, ცინერარიის, ასტრის კოსმოსად  
ასტრა მე გამოვედი შენი მუტლიდან  
მინდა დავბრუნდე შენი ღეროთი, რაც  
მკვდარია  
ჩემში ჩემი მფარავი ქერუბიმია, ამის გამოა  
ასტრას რომ  
ვხატავ, ასტრა მითხარი რატომ მფარველობ?  
რატომ ვარ მომწყველეული  
სახვით ყუთში შენთვის და ჩემთვის? რომ შენ  
ძირი ხარ  
და მე ვარ გვერდი, ყოფა, ხაფანგში გაბმული,  
მომწყველეული  
აზრში, და ყველა ეს გაჭირვებული გარეთ -  
მაგრამ ის, ის - რატომ დავწყევლე ჩემი  
ცხოვრება რათა მიმეცა  
ქალის სული ნუშის ხის ტოტისთვის, რატომ  
ვეძიე, რატომ ვილტვოდი მასთან მელაპარაკა  
მხოლოდ, მხოლოდ  
ის რომ ტრაკლესია, ეს ქარიშხლის ნარჩენები  
გასტალაგმიტებულიყო რკინით რომელიც  
გაზაფხულზე მიწიდან

ამოხეთქავს, ეს რკინა ჩემს სხეულს რომ  
სჭირდება  
ასტრა, ფილოქსი, ეს ბალის ტუხტი, მჭირდება  
მისი ტრავის ჭამა  
და ჩემი ტანჯული, დამშეული ყბები მხოლოდ  
იმას ხატავდნენ რაც ლაგუნაში იშლება.

## 310603 საფლავი

ხოსე რუბია ბარსიას

სუტინის ლოდს გავცდი და სვლა განვაგრძე,  
სანამ შენს წაგრძელებულ  
ქვას არ მივადექი  
წინწკლებიან გრანიტს, ოქროში:

*J'AI TANT NEIGE  
POUR QUE TU DORMES  
GEORGETTE*

და ითოვებდა, ცივ გვიანდელ ოქტომბრის  
ჰაერში  
ეს მოქმედება სრულდებოდა, პირველი  
ციცქა ფიფქები ეცემოდნენ იმას,  
თუ რამდენად უმნიშვნელოა სიკვდილი,  
რადგან არენა  
მქროლვარე თოვლია ბალახზე, კაშაშა  
კრისტალები ყოველ  
დანის პირზე, სველი ლლობა შენ შუბლზე,  
რასაც თვალს უსწორებ, თვითმკვლელობის  
მიღმა, მლელვარებაა, მოქანავე  
ჭვირნიშანი იმისგან რომ ამდენი ითოვე

მასში, პური აძლიე მას  
შენს მლივ ნაწლავში მაშინ როდესაც პური არ  
იყო შენი პირისთვის -  
იმისთვის, რომ შენ იყო მშვიდად უორუეტი,  
მეტად რომ აღარ ავალელვო შენი

საკვერცხები,

რომ ვალიარო მხოლოდ ბავშვი ობობა და  
ეს ტაძარი ავაგო მისთვის მისი მყინვარე  
აბლაბუდის კიდეზე.

რომ იყოს ვაიეხოს ლოდი მწვანე,  
განკარგოს და შთააგონოს ქვიშა,  
იყოს პურზე მეტად ცოცხალი,  
ფარულ სატრფოდ შეხვდეს პურს, წავიდეს  
სწორ და

არასწორ ნერწყვთან, მონელებადი  
თან მარადიული, დინება მდინარე რომ სრესა  
და თან ვერ აკავებს,  
დაშვებული ჭვირნიშანი შენს ანგელოზურ  
სურვილში ის იყოს  
მშვიდად! ვგრძნობდეთ ჩვენს უპიჯაკო  
მეზობელს, გვესმოდეს როგორ იღვრება  
ჩვენს გვერდით სასტუმრო ოთახში,  
ვგრძნობდეთ როგორ ყიდულობს  
ტანსაცმელს  
და ამ შეგრძნებაში გარდავქმნიდეთ

დღის პრეისტორიულ სივრცეს მასთან  
ერთად რომ ვართ, ორი საკანი, მიღიარდი მე,  
წარმოქმნაში გადახლართული გველთევზები!

მე წამით ვჯდები,  
და იმის ნაცვლად, რომ გველთევზები  
გადავხაზო, იმის ნაცვლად, რომ  
გავიკვირვო, რატომ  
ისინი ჩვილი ობობები არ არიან, ნაცვლად  
იმის, რომ რაციონალურად  
მივაზომო შენს ქვას ჩემი სხეული,  
მთელს კედელს ნებას ვრთავ თავზე  
გადამიაროს,  
ვუშვებ, წავიდნენ, ჩემს პურს და  
ტანსაცმელს,  
მედალიონს სახელად ცივილიზაცია,  
ბილიკს რომელიც მიუყვება კაცისმიერ  
ქმნილი ბულვარიდან  
სადაც წყლის სადენ თხრილში ქალი  
მშობიარობს,  
სასაფლაოსკენ კაცისმიერ ქმნილ პარკში,  
სადაც ქვაში ვიღაცამ ვისაც ვუყვარდით  
ამოთალა და ამრიგად ჩააკერა ჩვენი სახელი.  
ამ ბილიკის გარეთ არის უსასრულო ტაძარი  
რომელსაც ხელოვნება ქმნის,

სწორედ იქ, წაბლის ხეებში, სწორედ იქ,  
სიტყვებში *J'AI TANT NEIGE*, სიტყვები მომაკვდავ კაცს  
რომ აბრუნებენ, დააკვირდი მაშინაც კი როცა  
ქვას უსწორებ თვალს როგორ მხოლოდ  
საკუთარი ხილვის მიერ  
სიცოცხლისადმი განცდის ამაღლებას ხედავ,  
სველი შუბლი, მეტად სველი ვიდრე ყველა ეს  
თოვლები, მე ამ შუქს არ ვაქრობ, სეზარ,  
მოზღვავებაა, რომ თესვა განაგრძო,  
დაუტოვო მას  
მხოლოდ ერთი მოუსვენარი სიმშვიდე სადაც  
არარაში  
სხვა მოათავსებს მის სხეულს ხილვაში,  
და სხვა მიხილავს თქვენ ორის მხილველს  
ოქროსფრებს ნაცრისფერ ქვაში, ხორცს  
სიცივეზე ნაცრისფერ ქვაში,  
წაბლის შრიალი მისი კითხვის გზით აქ რომ  
მივიდა  
გაზაფხულის დღეს აქედან 3000 წელიწადში,  
ამ მთისკენ  
რომელიც პარიზი იყო, ამ სამყაროსკენ  
რომელიც უნინ დედამიწა იყო,  
უშველებელი ლურჯი ყვავილებისკენ  
ადამიანი ობობის ტაძრის

შესასვლელთან რომ ქანაობენ!

ხელოვნების მნიშვნელობა ეს ობობაა წითელ  
ტყავის წინსაფარში,  
ცალი საცეცით რომ ბატკის ფეხი უჭირავს,  
ცული ცალ ხელში,  
სანამ ბატკანი ლოცულობს მის გვერდით და  
ცული  
იზრდება ლურჯი ყვავილის აპკში,  
ეს ობობა იმღერებს სანამ ციცქა თევზი  
ლეკვის ფარფლებით  
გზას იკვლევს სამყაროს მზისსხივებში,  
ის არ იმღერებს ჩვენი სახელით,  
იგალობებს ენაზე რომელიც ბატკანმა იცის,  
ახსოვს  
რა სამელნე რომელსაც ფეხებით გამოებმოდა  
ხოლმე,  
იგალობებს თუ რა პატარა, რა დიადი, რა  
გარდასახვა  
იყო გასაღები რომელმაც განაღო ძვალი  
კარი ვაიქოს საფლავისთვის,  
უკიდურესი ქვა, სხივური სახელი.

## პალესი მაგანუმით

ეძღვნება ჯეიმს ჰილმანს

დღეს მინდა ავაცოცდე განსხვავებას  
იმათ შორის, რაც მგონია, რომ დავწერე  
და რაც დავწერე, ყოფა გავაამინდო  
ნარმოვიდგინო, როგორც ამინდი,  
გამოვიწვიო და გადავაგვარო,  
გველი, დაბლით რომ იხვევა და ინელებს.

მაგრამ რაც გესმის  
ჩემი მეტყველების ნაწიბურებია,  
ცხოველური,  
ჩვენი ხმაურის თეთრი  
ითქვიფება კენწეროებად,  
რომლებზეც ვერცერთი ჩვენგანი ავა - ან თუ  
ავალთ,  
როგორც მეფიტულები, ამოვავსებთ იმას  
რაც მორჩა,  
იმდენად გვიყვარს ვითომ ცოცხლის ყურება.

ნაწიბური რომლითაც მე შევაღწევდი,  
დაჭრილი ცხოველი, კიბეზვეული  
ნაწლავი სიზმრის ტყავში,

ჰადეს, ნუთუ შენ-  
რწყმული ვარ, კოშმარში  
შენ ჩემს გულს წონი,  
აკაკუნებ, საძოვარზე შუადღისას,  
ჯერაც ვკრთი  
ღამის 3 საათზე გალვიძებული  
თითქოს დერეფანში ქურდი იყოს,  
ის ვინც მე მისურვებდა, რომლის კლანჭსაც  
ბეჭედს ჩამოვაცვამდი, რადგან სიზმრის  
გამოქვაბულის რბილ ნაკეცებში  
საუბრისას შენ დაჟინებით ითხოვ, მე ვწონი,  
რაღაც ცივი შემომაქვს შენში,  
შენ განმიზრახავ, მე მიმაქვს  
რაც კი შენგან რჩება, სარწყავის  
ხვიები, ირიბად, ჩემს მუცელში...

ჰადეს, შენ მანგანუმში ირწეოდი, ცხოველი,  
ფორმა, რომელშიც მე ვიწყებდი  
კვდომას, ეიდოლებში მივიზლაზნებოდი  
სანამ შენ გაცალკევებდი!  
ერთი უკანა ხაზის მეორით  
გადაკვეთა, ჰიბრიდი, ნამყენიდან  
დანაკარგის  
ამოლება, სული, ახლა რომ დროში  
დაეხეტება, და ამგვარად გლოვობს იმას

რაც უნდა გამოიგონოს, დროისმიღმიერი,  
არქეტიპი, არარსებული  
ანთრომხეცი, ფესვგადგმული, და ბრჭყალებს  
სეზონურად ნებაზე რომ უშვებს ჰაერში!

ო მკვდარი ცოცხალი სიღრმეები!  
ერთი სახე დაუღურტულებს სხვა  
მყვინთავებს  
რომლებიც წავიდნენ, ტორპედოებად,  
სიზმარში,  
შუადღის საძოვარზე რომ ებზრიალათ,  
სფინქტერფექულებს,  
ცხვარმჭიდროვებულებს,  
სხეულის ქვედა ნაწილი მიბმული  
დაყოფას, ექაჩება მის ნაწიბურს ცივი მღვიმის  
ქვის გაყოლებაზე, თავი, როგორც  
ყვავილის მტვრით დატვირთული საცეცი  
მიიგვირაბებს  
რათა გამოჟონოს კვერცხების მწკრივი  
სადაც კლდემ, თავის კის გასამძლავრებლად,  
დაუბრუნა მხოხავი ხასხასა მწვანე  
მზის სინათლეს რომელიც იყო სიღრმე  
ახლა შეკავშირებით გარშემორტყმული,  
ბალახი, შეკავშირებით გარშემორტყმული,  
მთლიანი ცა, შებლალული კავშირი,

კაცი, მატლი ოჩოფეხებზე,  
შეუძლია, პირთან დატოვოს ამაღლება  
რათა სახეზე მიიკეროს უმოსავალი.  
ბოძზე გამობმულმა, ჰადესმა დარეკა, ომ  
ფალოს, მეტრო ძრწოლის  
ელვა-შესაკრავი ყოველ განშტოებასთან,  
შუადღის საძოვარს უძლვება  
დათვილოსანი დაბლიდან, კეტს სცემს  
მზეს ჩასულს სიტყვას უანგულს ფენა-ფენა  
გარეთ.

\*

დაბლა, კულვერტში  
ოკამურას სახლის უკან, კიოტო, 1963,  
ლენტური კონვეიერი მთელ ღამეს მუშაობდა.  
ჩხრიალმა ხმას უმატა, იქროლა  
მერე მოკვდა, ფურთუნის ღრიალი,  
პირველწყაროთი მაცდუნებელი,  
შარაგზა გაედინებოდა.  
გვიანი ღამის შესვენებებისას,  
მოხეტიალე მომუშავეები აბოლებდნენ  
ნაპერნელისმყრელ ზეთის კასრთან  
გუმბათიან ლურჯ ქუდებში,  
მუქ ლურჯ შალის წვივსახვევებში, მეტალის,  
კუნაპეტი სიბნელის

და ტკაცუნა ცეცხლის მიერ დაჭინეული  
კაცები. მე ვუყურებდი  
მინაში ჩასმული პარმალიდან, მთლად ვერ  
ვხედავდი

კასრის შიგნით, მსურდა ქმედება  
მომეხელთებინა, ცეცხლი ჩამება ლექსში  
რომელიც პოლ ბლექბერნმა მითხრა ჩანაწერში,  
რომელიც არ იწვოდა. ის ტანჯვით განიცდიდა  
ველურ კაცებს,  
კონტექსტმოგლეჯილებს, მინავლული  
კოცონის გარშემო მდგარებს,  
რომ ანძრევდნენ და შიგ ანუწებდნენ.  
სიღრმე იყო კრიზისი  
რომლის აღმართვაც ვცალე. ფურთუნის  
ღრიალი, მინა  
ნახლეჩი, აწეული, მაგრამ არგარდაქმნილი, ისე,  
თითქოს ჩემი ნაწილი იყო, უთავბოლო  
მექანიკურობა,  
მე შემეძლო და არ შემეძლო - მას შეეძლო და  
შეეძლო.

ვიყავი, სულში, ჯერაც  
მომწიფების პერიოდში, ჩემს საბეჭდ  
მანქანასთან,  
თითქოს სკამი საკურთხევლის წინ,

ქავილიანი, მოწყენილი, გაროზგვის შიშით  
როცა ყველანი შინ დავბრუნდებოდით.  
ფსალმუნებს და შავ საგუნდო კაბებს  
ვუკრავდი მსუნთქავ საკუჭნაო  
საწყობში, კიბე მიდგმული  
დამაჯერებელ მადანს, ლოგინის ფორმის  
კორეხიდორი ელავდა, სასიგნალო ფარნის  
მსგავსად, მინათებდა, მე, მოტივტივეს  
- ან იქნებ ფი დელტა თეტას საერთო  
საძინებლის კარმა გამიღო  
ნაპრალი? მისის ბერდის კანარის ჩიტზე  
ვფიქრობდი ხოლმე  
როცა ველოდი, როგორ ჩამიძლვებოდნენ  
ქვემოთ და დასისხლიანებამდე მცემდნენ.  
ეს კანარის ჩიტი, არც კი ხატება, დამეხმარა,  
მაგრამ წამში მიქრა, აქტივები  
ყვიროდნენ ჩვენი ორსართულიანი  
საწოლების გარშემო, თან ჯამებს სცემდნენ.  
რაულ ჰაუსმანსივით ვკნაოდით - ან იქნებ  
ჩუმად ვიყავით? -  
გადახრილები იქ სადაც მოაშორეს კედელი  
და მხოლოდ ბუხარი დარჩენილიყო,  
ერთმანეთს  
მხრებში ვებლაუჭებოდით, ჩვენი შიშველი  
გროვა

წრედ ეკვროდა განუსაზღვრელ ცეცხლს -  
მოშვებულად  
მივმუშტვოდით ტურბინის მასას, ჩვენი თავები  
საერთო ტამპონად ჩაჭედილი აქტივების  
სიძულვილში.

ეს ხორცის კედლებით გარშემორტყმული  
ცეცხლი ახლა  
შეკავებულია. ჰადესი მიზანში იღებს ამ  
ლაბირინთს.

\*

პერსევსი მზეს უშვერს დაწერილ თავს.  
ხმალი მის თეძოზე პროეცირებს იმას, რაზეც  
ის ფიქრობს,  
ცენტრს მოგლეჯილი ცენტრი, გორგონა  
ამოწყვეტილი თავისი მედუზას სიმაგრიდან,  
მისი გადაჭრილი მილები, ჩხავანა გველები,  
პერსევსის საგანძურო ქვესკნელიდან.  
გმირი საკუთარ თავად  
არ განიგმირება, ის არეკლილი  
სიღრმიდან ამოიღებს არეკლილ თავზარს,  
საკუთარ ხელს უბიძგებს ღრმად  
გაუდენთილი ტამპონის მასაში სადაც მიწას  
სდის სისხლი.

მამაჩემი, 30 წლის მანძილზე საქონლის  
დამკვლელი  
ზანგების დროის მზომველი, იყეცება კაცებში,  
ცხოველს რომ სხვა კაცებში ტენიან,  
მის სირინქსს გამოწურავს, დილის საუდლე  
ფლეიტებს.

ვკრეფთ რა კონფეტის ჩვენი თმიდან,  
პატარა ლულუ და მე ვკვეთთ ქალაქს  
რომელსაც ფრენსის ბეკონი მაიორობს. ამ  
ქალაქში  
კარიკატურები თანაბრად ერევიან ადამიანებს.  
მათ სასტიკ წებოვან კონტურებში ვგრძნობ  
ჩვენი აღმასვლის საშინელ ძალას,  
უწყვეტად აღმათარგმნო,  
აილო ნებისმიერი მასალა და აწიო,  
მიწა, სიზმარი, ნებისმიერი, მაღლა,  
პირამიდული იმპულსი, მონად მიემართო  
მზისკენ,  
გარსშემოდენილი ფორმა მიიღო - და არა  
ისწავლო - ლაზარესგან.

\*

ზედაპირი რეალობაა ისევე როგორც აღმასვლა  
ისევე როგორც სიღრმე. მედუზა გამოკიდულა

არქაული სიახლოესის სიღრმიდან,  
მაღალი ძაბვის ანძები, ქალური ფსიქესგან  
რომ დაამზადეს კაცებმა,  
ქალები, შერეკილები კარიბჭეებში,  
რომლებიდანაც  
ჰეროიკული ენერგიის მადანი გამოვა,  
მანიპულაციისა  
და წამებისადმი მამრობითი ამინდის  
დასაცხრობად.  
მატერიისადმი გამოცხადებული ომი  
ჩაგუნდავებული მატერში  
ჩატენილი, მისი ჯვარცმული ახლობლით,  
ჰადესის ჭიშკარში. მე ვიცოდი,  
როცა ხელში ჩემი 50 ფუნტიანი დედა მეკავა,  
გახვეული მის  
კიბოს ნაჭრებში, რომ არ არსებობს  
გამარჯვება - ზე.  
მკვდრეთით აღდგომა, კარლ დრეიერის  
საკურთხევლის ხატი, კი,  
ნამდვილი თითების სავარჯიშო იმედისთვის,  
წელის-  
სახსარი, სულის უდაბურეთში ზაფრანის  
კვირტი  
ნამდვილად არაა უარსაყოფი, მისი  
მოყვითალო ალი

ქვებს რომ დასთამაშებს, ათბობს იმას რაც  
ყველაზე ნორჩია ჩვენში, ყველაზე მეტად  
დამით ჭერილი, ნაზი,  
დაის მოწყურებული, ცეცხლის მადა,  
უყუროს, როგორ კრძალვით იკვამლება მთა,  
საგანი რომელმაც თავი უნდა გარდაიქმნას,  
აღიმართოს  
თავისგან, მაგრამ ჰადესი ქანქარად ატაროს,  
პარაშუტისტი შეკრებილი მედუზას ძაფებით,  
ქვედაგონიერება, არა ჩვენი კუთვნილი,  
არამედ ჩვენი  
მიმღები ოდეს მივედინებით და ვჭკნებით...

რატომ ვექცევით გმირს  
უკეთ ვიდრე ის მოექცა მასალას  
რომელიც მზის გამოსაკვებად მოკვეთა?  
პერსევსი ბელადონათი სავსე მუჭით,  
შეგვიძლია, ის ფარანმომარჯვებულ  
განდეგილად ვაქციოთ? მივაწოდოთ სადგისი,  
ვასწავლოთ მეანდრირება, ჩვილშედედებულ  
ჭილოფებს  
შორის რხეული ზიგზაგი, ვასწავლოთ  
სალამანდრირება,  
ვასწავლოთ მის თესლს, როგორ გააჩალოს  
ცეცხლი. განხვენი

ჰადესის კარიბჭე, ნება დართე მისი ხორცების  
ისფერ სურნელებს, ყინულის გამჭოლ  
რჩევაში იდულონ. რაღაც აამოქმედებს თავის  
მაგიას  
არასდროს კარის წინააღმდეგ. ჯოჯოხეთის  
კვირა, 1953,  
საფოსტო ბარათი, რომელიც ჰადესმა  
გამომიგზავნა,  
მისი ბავშვები დემონის ზმანებში ჩემ  
პენისზე გამობმულ  
სიმს გამობმულნი აუყვნენ ჩემს თეთრ  
პერანგს გამობმულები  
ჩემი სპორტული ქურთუკის ჯიბიდან  
მოქანავე "გამომქაჩე" ბარათს. პირადული  
ტკივილის მწვერვალია, მაგრამ მის გარეშე  
მთები სიზუსტის კარგვას იწყებენ.  
პირადული სიზუსტით მოქმედებს, როგორც  
მეტყვიამფრქვევე, დაძაბულობა ძალლების  
ჩხუბში  
ჩემს სიკვდილს რომ ჩემს შემოქმედებაში  
აპამს.

\*

კონცენტრაცია ახლა მოიცავს დაჰპაუს,  
მავთულხლართმა ჩაანაცვლა საზრისი  
როგორც ენერგიის წრეწირმა. არ არსებობს

მოწოდება რომლის სიმაღლეზეც იქნებოდი.  
სახელები კულტურული  
ქაფია, ნადა-მატლები რომლებიც თავიანთ  
ნაჯღაბნ-სულებს ჭიმავენ, თათის  
ნაკლანჭები დედა-დერეფნის ყინვაში  
სადაც ჩვენი სახეები პირველად დაუთავდნენ  
ნაზად.

ჰადესი ილებს კლაკვნითმავალ ჰერმესს  
ჩემს ფიქრებს რომ სამიზნის მკეთებლის  
ხელების სირბილის ლა პიეტაში აპნევს და  
ახეტიალებს -  
იქ, რასაც ვცვლი, მთავრდება, ჩემი  
სასოწარკვეთილება  
კრიფტულად იზრუნება, რადგან ჰადესის  
ძუძუები,  
როგორც ნააბლაბუდარი საკვებურები,  
სასწაულგამძლეა.  
იქ წოვა გრძელდება, გადაღობილი დერეფნის  
ქვეშ, სიტყვის ყოველი მნიშვნელობა,  
შეყინული  
მის არსებაში, ხორციელდება. მე ვთამაშობ  
იმით რაც ჩემი ცხოველურისგან დარჩა,  
მარმარილო  
რომელსაც ის აგორებს საშუალო სქესში,  
კატის თვალი, უკან აგორებს,

მე ვტეხ მის ქუთუთოს სიტყვა-ჩვილ ტუჩებს  
შორის...

ჩიტი სული შეფრინდა აპოლონში -  
ცხოველი გაჩნდა დისპატერში.  
რაც ცა და დედამიწა იყო გახდა სიცოცხლე  
და სიკვდილი,  
ანდა ჯოჯოხეთი დედამიწაზე და ფსიქიკური  
სიღრმე,  
და მე ვფიქრობ: როგორ იმოქმედა ჰადესზე  
დაჰაუმ?  
ულრმესი ნაწლავების სიცივეში, ნეტა  
დალაქული ფლუიდი  
თუ წვეთავს? თუ აქვს სუფთა დანაკარგს ახლა  
კრემაციის სურნელი, თუ უონავს ადამიანის  
სულის  
ხორციანი ფუყე შეგრძნება იმ საუფლოებში  
ჰადესს რომ ცხოველებისთვის ჰქონდა  
განკუთვნილი?  
არქაიები, ჯერაც შემჩნევადნი  
ამ საღამოს წითელ-ყავისფრებში, თუ ასხამენ  
და ანაწევრებენ  
ანთრობესტიალურ კომპოსტს? ან ნულები,  
რომელთაგანაც უფრო და უფრო შევდგებით,  
თუ გარეკეცავენ ადამიანური სიცოცხლის  
მარჯვეს?

ამიტომაა, რომ ეს კონტურები, ამოდენ  
ჰადური ნათესაობა,  
მთისებრ ძალას იძენენ,  
მოძრაობენ ამ დღეთა ჩრდილებში?

დაბორბლილი სხეული მიწის კანზე ჭრის  
და აკერებს ჩვენს მარცვლეულ ყრმობას.  
დაბორბლილი კედლის ოსტატი რომელიც  
მანგანუმით კემსავს,  
ილაპარაკე იმის გავლით რაც არ მახსოვს,  
სიცოცხლე რომელშიც თხრობითი არიადნების  
შენებებული თასმები ვარ.  
ყველა ჰომინიდი იზიარებს მენამულს სადაც  
ბნელი  
ეხამება ჰორიზონტს, ნოტი ხტის, უ-  
მნიშვნელობის სტატიკა გვაპნკალებს, გზას  
აძლევს  
არა კიდევ ერთ სიბნელის ნათელში  
ამოტანას, არამედ ბნელ  
ნარმოთქმულ ბნელ პალეოლითურ  
განზომილებას.

**[კომენატრი:** ეს საკვანძო ლექსი პირველია იმათ-  
გან, რომლებიც ეშელმანმა ზედა პალეოლითური  
მღვიმეების და კრომანიონელი ადამიანების პოე-  
ტურ კვლევას მიუძღვნა (ამავე საკითხს, წიგნის

დასაწყისში, ეხება პროზაული ტექსტი "განლაგება" - ხოლო შემდგომ, მრავალი სხვა ლექსიც ამ კრებულში, ისევე, როგორც ავტორთან საუბარი). მაგრამ ბევრი სხვა მსგავსი ლექსისგან განსხვავებით, აქ ეშელმანი პალეოლითურ მედიტაციებს პირად გამოცდილებებსა და ხდომილებებთან აზავებს, რაც ხანდახან ართულებს ცალკეული პასაჟების გაგებას კონტექსტის ცოდნის გარეშე. ვფიქრობ, აქ შეიძლება, აღინიშნოს ერთი ასეთი: კოლეჯში სწავლის დროს, ეშელმანი იყო ამერიკაში გავრცელებულ საძმოთაგან (fraternity) ერთის, Phi Delta Theta-ს წევრი; "აქტივებს", რომლებსაც ლექსში ახსენებს, საძმოში განევრიანებულებს ეძახიან. ადამიანს, რომელსაც უნდოდა საძმოში განევრიანება, უნდა გაეარა არათუ მოზური და სადისტური დამოკიდებულების გრძელი პერიოდი, მას აგრეთვე უნდა გადაეტანა "ჯოჯოხეთური კვირა" (hell week), რომლის დროსაც საძმოს წევრების მისდამი მოპყრობა ზღვარგადასულად სასტიკი იყო. თავად ეშელმანმა სამი წელი გაატარა საძმოში, რისადმი ალუზიაც ფიგურირებს ამ ლექსში (ნახე, აგრეთვე, "ლვინის სისწრაფით").

ლექსში ასევე ნახსენებია პოლ ბლექერნი, უდიდესი ამერიკელი პოეტი და ეშელმანის ახლო მეგობარი. აქ იგულისხმება კასეტაზე ჩაწერილი ლექსები და საუბრები, რომლებსაც ბლექერნი უგზავნიდა ეშელმანს, როდესაც ეს უკანასკნელი კიოტოში ცხოვრობდა.]

## ჩვენი სამკაარა ეშავადის ღვთისმშობელი

მღვიმეების ღვთისმშობელი  
კლდით მოსილი,  
ვულვიფორმული, უკუკეცილი  
საკუთარ თავზე, ხვეული მღვიმეში  
აბრი სელიეში  
თაღი ნაკვეთი ფილაში  
შედის და  
გადის, ის ხვრელია,  
თან კლდე, შეულწევადი,  
ენიგმის ბიძგის წერტილი  
არავინ ასწია მისი საბურველი,  
ენიგმის ბიძგის წერტილი  
თან კლდე, შეულწევადი,  
გადის, ის ხვრელია,  
შედის და  
თაღი ნაკვეთი ფილაში  
აბრი სელიეში  
საკუთარ თავზე, ხვეული მღვიმეში  
ვულვიფორმული, უკუკეცილი  
კლდით მოსილი,  
მღვიმეების ღვთისმშობელი

როდესაც ის უკუკეცება

ვგრძნობ როგორ იშლება გრძელი წინადადება  
საკუთარ თავში  
და როდესაც მთავრდება, ეს მხოლოდ  
დასაწყისია,  
წინათგრძნობა, რომ მისი ნიშანი ერთი  
შესახვევია, უნი-  
ვერსი, დასასრული პირველი სტროფის,  
მოკლაკნილი  
ვაგინალური საჭრეთლის გარშემო, ისე,  
თითქოს ჩანასახოვანი თაღი მორკალულიყოს  
ჭრილის გარშემო, ინჩის ერთი მეოთხედით  
რომ აღწევს შიგნით.  
ჩვენი ქალბატონი, შესაძლოა, უხილავი  
თაღოვანქმნილება იყოს  
რომლითაც ყოველივე  
ამძრავს იცვლის ბნელში, ავაზის სისწრაფით,  
ლოკოკინის ბორძიკით, რუსეთის  
სანაპიროებზე  
სადაც რადარებად შეკუმშული პალეო-  
არქეტიპები  
აქეთ-იქით იცქირებიან, დინოზავრული  
თავდაჯერებით.

ოკეანოსამდე, ოკეანოსის  
გავლით, ურობოროსამდე, მისი გავლით,

ჩევნი ქალბატონის ამობურცული ნახევარწრე  
გვაუწყებს, რომ მას უარსებია,  
მანამ სანამ გაიბმებოდა ასოციაცია  
ტყნაურსა და დაბადებას შორის,  
სანამ შემოიზღუდებოდა მჩქეფარე  
პართენოგენეზი -  
მაგრამ ის, თუ რაოდენ არსებობს  
თვით-მოსაზღვრულობაში, ჩემს  
ტრიუმფალურ  
ჩემი პენისის მზისთვის აღმართვაში,  
თუ რაოდენ ფაქიზად  
სერავს თავის ჭრილს ჩემს თავსა და მის  
წერტილს შორის,  
ეს მე არ ვიცი.

რადგან მე წარმოუდგენლად გაიზარდა,  
ვიყურები ასოებრივ თვალებში მის  
დასანახად  
აბრი სელიესგან ამოჭრილ ფილაზე,  
გრილ კირქვის ოთახში, ლეზ ეზიში.  
სულ რამდენიმე ინჩის სიმაღლისას ჰგავს.  
აქ ყოფნა დაკრძალვაა,  
სამარხ დარბაზში სადაც პირველი სისხვავე  
ვლინდება თოკის უკან, ნაწერი მითითებებით  
რომლებიც მხოლოდ ფორმის ასაკს აღწერენ.

და მე, რომელიც ამას დავყურებ  
უშველებელი ვარ,  
ნაპირკეთები ყველა ჩემი გამოუთქმელი  
თავით,  
ჩემი ჩონჩხისებრი ჭოჭინა-საწამებელი  
რომლითაც დედაჩემის  
85 მილის სიგრძის ფეხები კიდია,  
რომლიდანაც მამაჩემის  
მარჯვენა მკლავი თითქოსდა უსასრულო  
წკეპლით მიუყვება  
მუზეუმის გზას, საფრანგეთის გადაღმა,  
რათა გაქრეს  
ატლანტიკურში, და მე ოდნავ ვირწევი,  
ვცმუკავ  
რადგან აჩრდილების ცეკვა იწყება როდესაც  
გავყურებ  
ჰერმაფროდიტულ წრეს  
გველმა რომ შეკრა, ასე თვითქმარს,  
მაგრამ რასაც ის და მე შევიცავთ, "ღვთიური  
წყვილი",  
ლატენტური დედა-მამაა, რომელმაც  
სამყარო ჩაიგდო ხელში.

ჩვენი ქალბატონი მიდიმოდიოდა  
როგორც ნალევი ფინალი,

ყვითელი ბოჭკო იღვროდა მის კბილებს  
შორიდან,  
ის მიიკაჭლებდა, სახიერებისკენ -  
რაც მისი ვულვიფორმის ქვეშ იმალებოდა  
ჯერარმოსული  
სამკაპი იყო, რადგან კაცებმა გააცნობიერეს  
რომ არა მხოლოდ  
მისი ჭრილის პირის გატყორცნა შეიძლებოდა  
არამედ მისი ორი მომიჯნავე ხაზისაც,  
შეიძლებოდა მთლიანი ქალის ცხოველში  
ჩაგდება  
და გზა შიგნით, სამკაპი ლრმად ლე პორტელში,  
მისმა სამმა კბილმა დახურა?  
ჩაქუჩით ჩარაზეს ურობოროსი როდესაც ამ  
მონადირეებმა  
ბოლოსდაბოლოს გამოაპეს გზა და  
ცხოველური ძარღვიდან განთავისუფლდნენ?  
და ეს იყო მომენტი როდესაც  
ველურება მენტალურად შემოიკედლა,  
გველი გარე წრეწირად,  
რათა აღეზარდა, და განედევნა, ჩვენი<sup>1</sup>  
ადამური ევა?

ჩვენი ქალბატონის ძირას, ჩემი გონების  
კედელზე,

არის ფეხის სიგრძის კლდის ფალოსი,  
რომელსაც, შესაძლოა, მისი მიმდევრები  
იდებდნენ შიგნით სანამ მის ნიშანს  
თლიდნენ.  
მთელი ლექსის მანძილზე, მე ამ დაუინებულ  
მტაცებლურ რამეს  
ვიყავი გადამჯდარი, ფალოსისას, კბილ-  
ფალოსს,  
ბურღს, რადგან კბილ-ფალოსი გაუმაძლარია,  
მამრის შიმშილი, დაკავშირდეს ყველაფრის  
ფასად,  
მაგრამ არ დაკავშირდეს, შეწყვიტოს  
კუნძულად ყოფნა,  
წინწკალი შობისმომცემი კონტინენტის  
განმათავისუფლებელი  
ფორმის წინაშე, ააგოს ჯებირი  
გამოაბას ტყნაური დაბადებას, აღარ იყოს  
ტკიპა  
ამ მიწის მოძრავ ტყავზე, მიარჭონ  
თავიანთი ერექცია მყმუვანი  
გაძვალტყავებული ცხოველის მარხილს.  
და მათ  
შეძლეს, დახლოებით 10,000 წლის წინ,  
ერთ ღამესაც, ტყნაური და დაბადება  
დაკავშირდნენ ჯებირით

ზუსტად სავსე მთვარის ზედაპირის ქვეშ რომ  
თხრის სოროს  
წითელ სასიკვდილო ხაზს რომ ბურღავს  
კიდიდან  
წრეწირიდან თანაბრად დაშორებულ  
წერტილამდე.  
უცრად მოძრაობით გაივსო კოუროვანი  
კორპუსი.  
უკანასკნელმა მადლენელებმა გააცნობიერეს  
რომ ჩვენი ქალბატონი  
დახურულიყო. კლიტედ ურობოროსი  
დაადეს მას და გასაღები დაფლეს.

ის ახლა გრძელ ტარზე იზრდება  
მინიდან უფსკრულის მიჯნაზე.  
ზოგი მას ბუზისთვალა რადარად ხედავს.  
სხვანი გრძნობენ, რომ მის კბილებს ეკვრიან  
როდესაც მონოკულტურის შტორმი  
ჰორიზონტალურად ამათრახებთ.  
ბევრად მეტი მუხლებზე მდგარი ტაძრის  
შესასვლელთან  
მიმართავს იმას რაც მის ქალწულებრივ  
თანაგრძნობად ესახებათ  
რომელიც როგორლაც განწმენდს მათ  
ნაკელისფერ ბარიადა წყალს,

მათი კერტის სისხლს, მათ სხეულებრივ  
მუსკატელს რომელშიც მათი ბავშვები  
თამაშობენ,  
სასწაული და სატანჯველი რომელსაც ჩემი  
საჩვენებელი  
ეხება, რათა შეარხიოს წამით მისი  
კვეთილი კლდის ფოსო  
უსახო წურბელა პირბადის  
რვაფეხა წაკადი.

## პილ ევანსის სიკვდილი

სამდუიმიანი კარამელისფერი მინდვრის  
ლოქორა  
ზურგზე ამობრუნებული, ვიბრირებს  
უშველებელი წითელი შხამასოკოს ნაფლეთებში  
მან ჭამა თავის ზომაზე მეტი  
და ახლა მისი ნამდვილი ზომა, თავის  
ნათელმხილველურ ტრანსში  
სევდას მგვრის ჩემი ზომის გამო -

მე საკმარისად ვერასდროს გამოვიკვებები  
უფრო მაღალი რიგით  
იმდენად რომ შინაგანი კეთროვანი კარში  
გავიტყუო,  
განვდევნო - მაგრამ ნეტა რა დარჩებოდა ის  
რომ განწმენდილიყო?

ნაჭრილობებს ვერ აღვიქვამ ნაიარევად,  
ფუფხით ნაგები პატარა ბიჭი იცქირება  
თავისი ანატომიის კუთხეში - სადაც კედლები  
და იატაკი მთავრდება  
მთავრდება, ფიქრობს, ალბათ თვითონაც,  
ამიტომ იკეთებს საკუთარ ბოლოს

თვალწინ, როგორც სათვალეებს,  
თოვლში ჩარგულს მას გალახავენ  
ის ბავშვები, თავისი მეგობრები რომ ეგონა,  
მისი ტკივილის მნიშვნელობა იმდენად  
ბუნდოვანია  
რომ განიფუფხება იმისთვის რომ შემდეგ  
ჯერზე კვლავ დაიფუფხოს,  
და რაც მას გაზრდის იქნება არა შინაგანი  
სწრაფვა, დალვინდეს  
არამედ ფუფხვებით, სანამ, უკვე გაზრდილი,  
არ შეიქნება ზრდასრულისტოლა  
და მისი სახე ემსგავსება კენჭიან აყიროს.  
მას მოუწევს დარჩეს პატარა სახლში, იმაში  
მე რომ ავაგე მისთვის, რომლეშიც უნდა  
მოიხაროს, თუ უნდა, რომ იდგეს

ბილ ევანსის სიკვდილი  
მაიძულებს ვიკითხო: რა ტანჯავდა ასე?  
რატომ კვება კაცმა, რომელსაც შეეძლო  
პიანინოზე ასე უზომოდ ლამაზად დაკვრა  
თავისი კეთროვანი გმირი ღვინით?  
ან იქნებ კეთროვანი გამართლებაა ტანჯვის  
მოდულირებისთვის, საკმარისი ტანჯვა  
იმისთვის რომ შეინარჩუნო საკუთარი სითბო  
და საფრთხე

ზუსტად განსაზღვრულ უთანხმოებაში?

ჭამე შხამას ასო კოსავს ე ლოქორა, მე უბნება,  
მე სმის, ჩემი სიკვდილის ანგელოზი,  
შენში ჩაუშვი ცოცხალი შხამი იმის თვის რომ  
იგემო ჭრილობა  
რომელიც უძიროა, მაშასადამე სუფთა,  
ინფექციის მიმღები,  
ერთხელ ინფიცირებული, სისუფთავის სტაცის  
მზადმყოფი, მარადგაუნყოფებადი ორივე,  
ჭრილობა რომელშიც ცხოვრობ, როგორც  
ლოქორა და როგორც მეფე  
რომელშიც ტკივილს აყენებ საკუთარ თავს,  
რადგან მართლა არ გადარდებს,  
რომელშიც ისე ძლიერ გადარდებს რომ  
ყოველთვის ვერ ახერხებ, იდარდო,  
ჰოდა ამბობ შევეცი ყველაფერს  
და აყიროს სახიანი კეთროვანი, საკუთარი  
ლპობა  
რომ დიონისურ სიუხვეში აერია, სვამს,  
თითქოს,  
ანდა აკეთებს გარკვეულ წოვის მაგვარ  
მოძრაობას პირის არიალით თავის სახეზე.

## **საქმეი, ქმნილი და დათხოვილი სინათლის მიერ**

ყოველივეს კარში შეიძლება თვალი მოჰკრა  
აპოლონს  
თითქოს ყოველივე ახლა შეიცავდეს მის  
ღუმელს -  
ხილვაში მე ზეთისხილის ხეს ვაღებ და  
ვხედავ მის ადრეულ ცხოველურ  
ფორმებს, სინათლის სიჩქარით რომ ქრიან,  
პითონი,  
თაგვი, და ლომი აპოლონი, ისე მიქრიან, რომ  
ადამიანურ სხეულებს  
შეეძლოთ, იარონ, დაცულებმა ზებუნებრივი  
შემოჭრისგან.  
სინათლემ წარმოუდგენლად იმატა  
ცხოველლვთაების დასასრულის შემდეგ,  
წერტილში სადაც შვეულება დანესდა,  
და საკუთარი დედის გვამი დამარხული შორს,  
შორს ადგილიდან,  
სადაც საკუთარი თავი გეძინა. მაგრამ  
ზებუნებრივი,  
ბუნებრივად გადაცმული, თავის ნისლში  
გვაყირამალებს, ამ თამასიდან ნახევარ  
მილში. ნაცრისფერი ნისლის

მბზინავი, უკუნთო მუშტი. წვიმის ხმა  
იმ წყლისგან, ჯერაც რომ ცვივა  
ზეთისხილებიდან. მე არ მსურს  
ვიცხოვრო პატრიარქატით განპირობებულ  
ბუნების სამყაროში.  
თავს ვიძრობ და ვცხოვრობ იმ ნათელში  
დედაჩემისგან რომ შემოისაზღვრა. მისი  
უზომო  
ორაზროვნება მისივე ჭიპისადმი  
განაპირობებს  
წვეთვის კლებას. ახლა ბორცვები  
მწვანე ხორცით იკრუნჩებიან და რაღაც  
უნდა მოჰყვეს.  
რაღაც უნდა ხსნიდეს სხვა გამოხდილი  
ლრუბლების მიერ  
მიტოვებულ ორაგულის ხარის ფორმის კონას.  
რაღაც  
უნდა მოუხერხდეს გასრესილ ბუზის. რაღაც  
არის  
ეს გამოუყენებადობის ნაპრალი რომელიც  
მანაშთებს  
და გასამრჯელოს არ იხდის. ტახტა  
სიმრავლეა  
ზუსტად თავსზემოთ. ალქაჯის ურო.  
სოლშემორტყმული ზღუდე.

როგორც ეკლესიას შეუძლია, სული  
გარწყევინოს  
შესვლისთანავე და მერე, დაბადების  
სიმშრალე რომ გადაიღეჭება  
მონაზვნისა და სანთლის მიერ, თაყვანი სცე  
იმას რამაც ამნამს დაგტოვა,  
შენი მკერდის პატარძალი, ის ნივთიერება  
შენს შიგნით სულ ერთი წამის წინ  
რომ ციმციმებდა ქუჩის მავნე სიცილის  
სევდითა და სილატაკით. როგორ ვნატრობ, ამ  
ლექსმა  
შემდეგი წარმოშვას, და იმ შემდეგს რამე  
კავშირი ჰქონდეს  
ამ მთის ზეთისხორცის დაცლასთან. არა  
აპოკალიფსი. არამედ ეგრეთწოდებული  
მეძავის გაფართოება  
თავის სასტიკად დამშეულ დრაკონზე რომ  
ზის. და მეტი ღვინო. მეტი ფრთები  
იმ ვერცხლისფერ ლაქვარდოვან სალამოს  
მთის კალთის  
ჩალაზე რომ ედინება. მეტი სივრცე  
სატანჯველად,  
მეტი მშვიდობით ხორცს, მეტი კარნავალი  
რიგითი კაცის მიუხედავად,  
ნაკლები სრულყოფა, მეტი სიცხადე.

იგულისხმება: მეტი წარმოსახვა,  
მეტი პარიკები ციცინათელას, მეტი ბაგები  
მოუსვენარი მკვდრებისთვის  
ზუსტად განთიადის წინ რომ გვაღვიძებენ  
თავიანთი კეთროზარით  
გვახსენებენ, რომ ახალმოსული წვიმა-ჰაერი  
იმის აშკარა ნიშანია  
რომ აქ არ არის სრულებით აქ. გრაფიტი-  
ნაიარევ ბიზონთა  
მსვლელობები, ჩვენსავით, გამომწყვდეული  
ლრუბლებია სახილველად.  
და მერე დედაჩემი ალაპარაკდა: "როგორ  
გასუქებულხარ!  
მე და მამაშენს შემოგვხედე, რა ფორმაში  
ვართ! ბევრის გადატანა  
მოგვიხდა შენი გულისთვის ამ 14 წლის  
მანძილზე. ჩემი მარცხენა გვერდი  
უნდა გენახა უეცრად იასამნისფერ  
ლრუბლად რომ გადაიქცა და დაალაქავა  
რაშიც შენ დამმარხე სანამ არ გაიხრწნა.  
მიხარია

რომ ჯონ ეშბერი გენვია გუშინ რათა  
წაეკითხა ახალი  
გაუგებარი ლექსები რომლებიც შენ  
ბრწყინვალედ გესმოდა. შენ ბევრად

უფრო მოწესრიგებული ხარ, ბევრად უფრო  
ქაოტური, ვიდრე აქ აჩვენებ თავს.  
შენზე რომ ვფიქრობ, 12 წლისას გხედავ,  
სარეცხის შუტში გაჭედილს,  
შენი სარდაფის ჰაერში მოფართხალე  
ფეხებით, ზედა ნაწილი კი მელაპარაკებოდა  
სანამ ველოდით მოიჯარის მოსვლას, რომ  
იქიდან გამოეთრიე.  
კარგად ვიჭორავეთ იმ შუადღეს, და ასე  
თითქმის ყველაზე მეტად  
მომწონდი, მხოლოდ ის, რაც შუტიდან  
გამოჩინილიყო. ნეტა შემძლებოდა  
ეგ ნაწილი გორგოლაჭებიან ციგურებზე  
დამედო, ხოლო ის რაც ქვემოთ  
ფართხალებდა  
გადამეგდო - ეგ ნაწილია მერე რომ მოჰყვა  
ხეტიალს,  
რომელმაც ეშმაკმა იცის სად წაგილო, სანამ  
მე  
და მამაშენი აქ ვწევართ, ერთმანეთისგან  
რამდენიმე ნაბიჯში,  
მოველით, როდის ჩამოიშლება ჩვენი კუბოს  
ხუფები. მერე, ის  
მცირე სივრცეც კი, შენი მოგონებებით  
სათამაშოდ რომ დაგვიტოვე

ჩვენი მკერდის ძვლებზე, გაქრება. ჩემი  
ღილები დაობდნენ  
და ჩემს ხელებს ხორცი აღარ შერჩათ, მაგრამ  
მაინც ვახერხებ  
ჩემი ღილები სულ ოდნავ ავაწრიპინო და შენს  
სიზმრებში შემოვძვრე.  
მაპატიე თუ ერთდღროულად მკვდარიც და  
ცოცხალიც გეცხადები,  
მაგრამ აქამდე უნდა მიმხვდარიყავი, რომ  
ყოველთვის ისე ვერ იქნება, როგორც შენ  
გინდა.  
ამ სახით, ზუსტად ისევე ნამდვილი ვარ,  
როგორც ოდესმე ვყოფილვარ, როგორც წესი,  
ავად,  
როცა გეცხადები, მაგრამ შენ არასდროს ხარ  
აქ, დარდობ,  
როგორ მომიარო, და მერე შეხტები,  
გელვიძება,  
ყოველთვის, როცა მოსავლელი არაფერია.  
ახლა მამაშენს უნდა, ორი სიტყვა გითხრას."  
"კლეიტონ,  
რატომ შინ არ დაბრუნდები? ისეთი კოხტა  
პატარა ოჯახი ვიყავით.  
ახლა ზუსტად ისეა, როგორც მაშინ, იმ  
უნივერსიტეტში რომ წახვედი.

მე და დედაშენი ვისხედით, ვათენებდით  
შენზე ლაპარაკში,  
სანამ ჩვენი მამები არ შემოვიდოდნენ  
ლამიდან და საწოლისკენ  
არ მიგვითითებდნენ. ისეთი საყვარელი  
პატარა ვინმე იყავი  
როცა შეგვეძლო დაგვეჭირე, მაღლა, და, შენი  
გავლით, ერთმანეთისთვის  
გვეყურებინა. ათ-ათი ციცქნა თითი ხელ-  
ფეხზე  
ბრჭყუვიალა თვალები ცხვირი სახეზე  
ერთი მუჭა ტკბილეული შოკოლადი ბეზე  
დედაშენი, შენი გავლით, ისე ჰეავდა  
ბებიაშენს, ეს ვერასდროს გადავლახე.  
რა აზრი აქვს, დარწმუნებული ვარ, არც კი  
გახსოვს შენი დაბადების საჩუქრები  
ყულაბა და შიგ ერთი დოლარი ბებოსა და  
ბაბუსაგან  
ორი კიმონა დეიდა ჯორჯიასგან და ბიძია  
ბობისგან  
აჭიმები ფეის თოჯინა პატრისია ენისგან,  
ერთი პიუამა მისის უორენ ბიგლერისგან  
კაბა მისტერ და მისის შამბოგებისგან  
აბრეშუმის ფაჩუჩები და კოჭა წინდები

ნაქსოვი სახვევები და ინგლისური  
ქინძისთავები

ნაქსოვი უსახელო უაკეტი მოტივტივე  
სასაპნე ქილა და სააბაზანე რეზინის ცუგა  
არ მესმის სახლში რატომ არ ბრუნდები. მე და  
დედაშენს

ყველაფერი გვაქვს აქ, რაც გჭირდება. ისე,  
ვნახოთ, იქნებ რაღაცები გეყიდა კიდეც,  
გლედის - არა, არ მისმენს - გლედის რა  
გჭირდება?“

“ჰო, ცოტა სახეხი ფხვნილი და ნათურები კი  
გვჭირდება”

“გლედის რა გჭირდება?” “და კლეიტონი,  
გვინდა  
კლეიტონი დაბრუნდეს არ მოგვწონს  
კლეიტონ ჯუნიორი ასე გვიანობამდე გარეთ  
რომაა”

“გლედის რა გჭირდება?” “რა იცი რა  
შეიძლება მოხდეს, მაგალითად  
სულ ერთი კვირის წინ, ენის უილსონმა,  
52541-ე მიწის ნაკვეთიდან, მითხრა”

“გლედის რა გჭირდება?” - “მისმენ, მამიკო?  
ენისმა თქვა, სანამ ჯეკი თავის სახლთან  
გაჩერებული მანქანიდან გადმოდიოდა ღამის  
2 საათზე”

"გრედდისრაქჩირდება!" - "ქეი ფიშბექთან  
პაემნის შემდეგ, ერთი კაცი  
მიუახლოვდა და უთხრა რაღაც რასაც მე არ"  
"გრედდისრაქჯადაბა!" - "არ გავიმეორებ  
ისეთი უწმანური იყო -  
ამ კაცმა თქვა: თუ ჩემთან ერთად არ  
წამოხვალ, ფურებს დაგიუეშავ.  
ჰო მარგალიტია? ალიარე, კლეიტონ, ჯექს  
ვერ დაადანაშაულებ  
რომ გაჟყვა, და ვერ დაიჯერებ ამ კაცმა  
სად წაიყვანა ჯეკ უილსონი და რისი  
გაკეთება სთხოვა.  
რადგან მამაშენის ხუფი უკვე ჩამოიქცა,  
გეტყვი:  
აიძულა მანქანა ჩრდილოეთით, ყრუ-  
მუნჯების სკოლასთან მიეყენებინა,  
და როცა დარწმუნდა რომ გარშემო არავინ  
იყო, თქვა:

პერსეფონე თოჯინაა  
მერილინზე უფრო ძვირი  
სასწაულები ლოკავენ,  
ნატერათამპურობელს,  
აბლაბუდა ორკესტრის თავზე  
ყინულის

დირიჟორია,  
დაივინებული მრკესტრი,  
მრმოს უდირიჟორე!  
ჩამომხრჩალი  
არიადნე  
ჰადესში მშობიარე  
არის მდიდარი, შავი მუსიკა დედის კერტში."

## **ლამა, თავის ანთეპულ ელასტიკს აყულეპული**

გვიანობამდე დარჩა ფეხზე, ძილი იგერია,  
იხეტიალა, სვა,  
თითქოს ძილი ერთგვარი გადასანსვლა  
ყოფილიყო,  
თითქოს დალეჭავდა და განთიადზე  
ამოაფურთხებდა  
წვენგამოცლილ საგანს რომელსაც  
მოუწევდა, მკვდრეთით აღმდგარიყო  
და ესწავლა, ხელახლა, სიარული -  
სისულელე,  
რადგან ღამის მადანი სიზმარი იყო, და  
ღამის მისივე ანთებულ ელასტიკზე აყუდება  
იმდენად ღლიდა  
სიზმრებს არ ხედავდა, ან ახსოვდა, ან  
აძლევდა საკუთარ თავს ნებას გაეხსენებინა  
დაქანცულობის სიზმრები,  
მოკუზული ჭიაყელა ექიმები რომ  
წვალობდნენ ყორლანიდან ყორლანამდე  
აკმაყოფილებდნენ თვალებს სიბნელეში,  
რომელთა ძვლის თათები  
აბებს სტაცებდნენ და ქრებოდნენ,

ან იქნებ

სისულელე ის სურვილი იყო  
ღამეს მისწოლოდა, განეპოეტურებინა,  
განთიადში მიეჩოჩებინა,  
ისე რომ ნათელი შერეოდა ყორდანების  
მაცხოვრებლების გულებს,  
ჩონჩხენოტებთან, წვერებიან ჭალარა  
მაჩვებთან,  
დაკოურილ ჰერმაფროდიტებთან, რომელთა  
ხვრელები და მილებიც  
იმ ორთქლს ქშენდნენ რომლის უწონო დღეში  
შეყვანაც სურდა -

მაგრამ რა იყო მართლა სანახავი ან მართლა  
საგრძნობი დურანგოში?  
19-ე საუკუნის ნაგებობათა გვერდები  
როგორც პომპეის ნარჩენების გამოჯავრება?  
სავერდზე განყობილი ინდური მძივები,  
ქიუფაის თოჯინები,  
მინი მაუსის სპორტული სვიტრები,  
"ახალთახალი" მესკიტში შემწვარი ორაგული,  
ღრმად ჩაძინებული მეპატრონეები. აქ  
დემფსიმ ნოკაუტში ჩააგდო  
კოჩრანი 1912-ში და 20\$ მოიგო - ან რაღაც  
ამდაგვარი, ახსოვდა,

ეწერა ახლახან დანახულ კედელზე, დენის  
სასადილოსკენ, სადაც გიგანტური ფორმები  
სტეიკს აკეთებდნენ ღამის 2 საათზე.

ჩრდილო ამერიკელები!  
ისინი დაქირავებულ ჯარისკაცებს ჰგავდნენ,  
აჯანყებულებს, შეშუპებულ  
ხელახლა შეკერილ ები ლინკოლნებს,  
ენზორის ჰელოუინის კაშკაშა  
განათებებქვეშ. ის თავის თანატოლ ფერმერს  
ჩამოუჯდა  
რომელიც, გრძნობდა, ხერხემალში  
გადატეხდა, ნამდვილი განცდები რომ  
გაზიარებულიყო,  
ამას თავისი მიღუესტური ძვლებით  
გრძნობდა  
რომლებიც ჯერაც საშობაო ნაძვის ხის  
ლენტებს ამუშავებდნენ,  
საჩუქრებს, ასე რომ გაახარეს რვა წლის ასაკში.  
ფერმერმა მეგობარი გააცნო ერთი სკამის იქით,  
რომელმაც ლაპარაკი სცადა, ქბილები ენა და  
ტუჩები  
ერთი გაკერილი კუნთი, ჩლიფინა ოხვრა,  
რომლის სიცოცხლეც  
მეგობრობამოწყურებულ თვალებში იხვეოდა  
სანამ ის თქვლეთდა და თავს აქნევდა,

ფერმერის თანამეიარლიყე  
კატასტროფის ძმობილი - ვიეტნამი?  
როცა კვერცხები მის ნაწლავში ეშვებოდნენ,  
ფერადი ლენტი ფითოდებოდა და  
მუავდებოდა.  
აწმყო, ნაყლაპი თავისივე უყვარებ ნაგავთან  
ერთად,  
ბავშვობის თოვლსაც კი ძირს უთხრიდა.  
გვიანობამდე ფეხზე დარჩა, რათა ეს ეგრძო?  
დენის სასადილოდან გამოეხეტა, დურანგო  
მარჯვენა იღლიის ქვეშ ჩაიჭედა  
და ჯარვის ჰოტელისკენ გაბორძიკდა.  
დაჭრილი -  
ქუჩის ცარიელი პირსაბანი, დაჭრილი -  
ადგილის ანაბეჭდი, არადგილი, მყარი  
პლასტმასის პატინა  
რომლის ქვეშაც უცხო სიდიდის ლარვები  
იხვეოდნენ,  
კუნთოვანი ლარვები, წყურვილისგან  
მკვდარი სველზურგები, შერწყმულები  
ნიუ მექსიკოს უდაბნოსთან, სადაც ანტიკური  
კრეოზოტი  
(აცხადებს გაზეთი, რომელიც  
თვითმფრინავში გაიცემოდა) უძველესი  
ცოცხალი რამეა დედამიწაზე,

"10,000 წლის თესლი იუმას მახლობლად  
აღმოჩენილია ვირთხის ნეხვის გროვაში."  
იმისთვის არ დაიძინა, რომ ყველა საგნის  
უწყვეტი აწევ-დაწევის მოკლე ჩართვა და  
შუშხუნი ეგრძნო?  
ძილი უარპყო რათა ამ თავისებური  
უმტკივნეულო ღვარძლით ეტანჯა?  
როგორ შეეძლო ვინმეს მოუხერხებელი  
საწოლის შესახებ წუწუნი?  
მაგრამ ეს თითქოს ცივი ცხაურა იყო, ადამით  
ნაწამები,  
სისხლით დალაქავებული სისხლის ბიჭი  
ილანძლებოდა ქვემოდან,  
გამოშიგნული მჩაგვრელი რომელიც მატრასს  
კუნავდა რათა მძინარე დაეგლიჯა,  
გვამი წყალქვეშ, რომელსაც ნაკადი  
ეფათურებოდა და აკნინებდა...

სანამ ის სიზმარში იხსნებოდა, მაჩვები და  
ენოტები  
ამოინვერნენ თავიანთი ყორლანებიდან,  
სამუშაო ხალათებში, ქაფჩებით,  
გზას მიიკვლევდნენ (როგორც ბავშვობის  
ცხოველები მიიკვლევენ ხოლმე გზას)  
სასაფლაოსკენ სადაც ჭიაყელა ექიმის

დაკრძალვა უესტების  
სტატიკური იისფერი ესკიზი იყო ... ჩარდახი,  
მოქვითინე ჭრიჭინა ...  
მერე დაკოურილი ჰერმაფროდიტი გამოჩნდა  
და ყველა ფორიდან იწყო დენა ... მათ

ჩაუშვეს

ზარდახშა-ჩანთაში მჯდარი ექიმი მაიას ჭაში?  
ნყალქვეშა ნავების ფლოტი შემოიღვარა ...  
მძინარე, ბოლოს და ბოლოს  
საკუთარ სიზმარს სვამდა, ნაწევრდებოდა,  
ერთდებოდა,  
შვრის ფაფა ამჟავებული არა ჯამში  
არამედ მოტივტივე, ვითარცა კუნძული,  
სინათლის სარტყელში.  
ამერიკის მიერ ჯერაც მოუნელებელი, იმაშიც  
კი მოეცარა ხელი, დღის  
საწერ მაგიდაში შეებრუნებინა ღამის  
გაჭედილი უჯრა.  
ეს სინათლის სარტყელი. ძილის ერთადერთი  
კილდო,  
სანამ ეცემა, რათა მაგრად მიარჭოს  
ხელისგულების ქუსლები  
დახუჭულ ქუთუთოებს, უყუროს როგორ  
ციმციმებს და იფქვება  
ნარმოქმნისას ფილიგრანული ნერვის ოქრო

სინათლის სქელ ფუნთუშად შეკრული,  
სიშავით შუაგულში, სიშავით გარშემო.  
ერთგვარი მადონა დახვეული  
ქვეწარმავლური უწყვეტობის აურაში,  
ის ტივტივებდა, პიეტირებდა  
შეუცნობად სხეულს რომელსაც პოეტი იფენს  
კალთაზე  
ყოველ ჯერზე როცა წერას იწყებს.

## პიზოდური კლავიატურა

ბად პაუელმა საკონცერტო როიალის  
კლავიატურას დაახალა თითები.

რას წარმოადგენდა ის, ასე იდაყვებმოლუნული:  
ერთგვარ ტირესიას, თავმოქრილი ბიზონის  
სისხლს რომ სვამს თხრილიდან?  
განა, დაბადებისას, ბიზონებს არ ვგავართ,  
მიწიერ კლავიშებზე განთავსებულნი?  
ყოველ კლავიშის დაჭერას ავისმომასწავებელი  
თხრილი გაჰყავს.  
ასე იქცევა მიწა როიალად  
ჩვენ კი ვწოვთ, ტირესიული დაძაბულობით,  
როგორც ჩვილი პაუელი,  
საწინასწარმეტყველებლად.

პაუელი ბიზონური მოჩვენების პირისპირაა,  
ჭიქურით ფარული, შავი აჩრდილი თავად.  
ტირესიასისგან განსხვავებით, როიალის  
გზით მან მიმართული ბერაუნდა  
გამოხადოს,  
და თუმც როიალი აქვს, ეს არაა თბილი  
სისხლით სავსე თხრილი.

იყო მხილველი, ნიშნავს ხელახლა შეაღწიო  
თხრილში, რომლიდანაც ვიშვით.  
პაუელი დაკაგშირდა, მაგრამ შესმავერ  
შეძლო.

რადგან პროფილში, თავახდილი, როიალი  
უთავო ბიზონს წააგავს,  
რომლის მკერდის ღრმულიც, კლავიატურა,  
გამოსცემს ბგერას რომლის სისხლის მიერ  
წარმოთქმაც ტირესიასს სჭირდებოდა.  
და ტირესიასი, რომელმაც შეაღწია არსობრივ  
თხრილში, წარუძღვა ოდისევსს.

პაუელმა კლავიშების პირი დაკანრა  
სისხლისთვის, ისე, თითქოს სამსხვერპლო  
ბიზონს უყრიდა დანას.

ამრიგად, მან წამოჭრა დიადი, როიალური  
დილემა: ცოცხლებს, რაც არ უნდა დიადი,  
როიალური იყოს მათი დო მაჟორი,  
ტირესიული შემცველობა აკლიათ: იყოს  
სრულად სული და ბიზონურად მკვეთრი,  
ქალღმერთხრილის კუნილინკუტნამი.

ამბობენ, ქრიდმორის საგიუეთში, საკუთარი  
საკნის კედელზე, პაუელმა ცარცით  
დაჯლაბნა კლავიატურა.

პაუელი, როიალის აჩრდილად ქცეული,  
კლავიშებს დააშტერდა.  
"ო შინ როგორ დავბრუნდე, ტირესიას?  
როგორ დავლიო ბიზონი მუსიკა ამ  
ჯოჯოხეთურ თხრილში?"

## ლპილის სისწრავით

ჭიქა საჰაერო ბურთი, ხვეულა -  
რა არის ღვინის შიგნეულობის სახე?

გაშეშებული, მტრულმა  
მწერებმა წამილეს და ჩამტენეს თავიანთ  
კომპოსტში,  
კარგი მასალა ბუდის სამაგრებისთვის, ალბათ  
საწვავი  
კალის მწვადისთვის. და მაინც, ძილის  
დროსაც სმას  
განვაგრძობდი, ღვინის სისწრაფით მძინარე,  
რადგან ჩემი სიზმარსხეული სრული მღვიმით  
მომენტი -  
იქ ქრეინი იყო! მოქმედებისკენ ზურგით,  
დამახინჯებებს თხრიდა ფალსტაფის  
მუცლიან მათარებში.  
თავისი თვითმკვლელობის დაწები გასაოცარ  
წნელჯოხებად დაახვავა  
როცა დავჯექი, და მკითხა,  
ისე, თითქოს მიცნობდა, რომელს ავირჩევდი.  
ის მომწონს კურდღლის ყურს რომ წააგავს,  
ვუთხარი მე,  
ან ის უჩვეულო გროვის ფსკერზე,

მიქელანჯელოს ხის ქანდაკება,  
რომელშიც თავისი თავი გამოუსახავს,  
დამწუხებული, ჯვარს დაყრდნობილი

უშველებელი ბაყაყი  
ამოხტა პანჩინო პალასის სამზარეულოდან,  
თან უზნეობის ლანგარს იწონასწორებდა ცალ  
მოცახცახე ფეხზე.

ჩემი იდეა ისაა, ვუთხარი ჰართის, რომ  
უძუძუებო ქალი დავკერო,  
ფრთებით ძუძუების ნაცვლად,  
რომლის მკერდიც უდედიერად ტკაცუნა  
ზეთის ტაფაა,  
მოკლედ, ჩვენი სული, რატომ არ ვცადოთ  
საკუთარი სულის დაკერვა,  
მრავალფეროვნებისთვის  
კვამლსადენში კოჭისებრ შეცურების  
ნაცვლად?

ქრეინმა წყვილი ციცქნა მაკრატელი ამოპუტა  
თავისი შიდა პერანგის ჯიბიდან და ცხვირი  
ნაიჭრა,  
შემდეგ შემომიბრუნდა, ზრდადი წითელი  
ველით თვალებს შორის.

მაშინდა დავინახე მისი კიბის ჭრილი, და  
რამდენად შეკლაკნილიყო ის მის ტვინში.

ასანთს გამოვკარი, და სისხლი გაშავდა,  
გამოვკარი მეორეს, და უმწეო კურარემ იწყო  
მის თვალთაგან ღვენთა.

"სიკვდილში მყოფ პოეტებს სიცოცხლეში  
მყოფი პოეტები სჭირდებათ," აქვითინდა,  
"არა პარაზიტულად, ჩემო ძვირფასო გოგონა,  
ჩვენ თქვენ აქ გვჭირდებით, სახე-ხატის  
ნისქვილის ქვეშ,  
სადაც სამსონის ფეხისგულები ერთგვარი  
ლიქიორია ჩვენი თვალებისთვის,  
აქ, ჩრდილო ამერიკული ქვესკნელის  
სიცარიელეში,  
ნებისმიერი სახე-ხატი, რომლესაც თქვენ  
გრეხთ მომწიფებული ზეთოვანების საწურში,  
ნმინდა წყლის საჭიროებით დაჭიმულს,  
მანანაა ჩვენთვის,  
არა სახე-ხატი = არა საჭმელი, ყველაფერი  
ასე მარტივადაა!"

ხელები ჯადოქრისმაგვარ noilà-დ აღმართა!  
გრაფინი გაჩნდა, უფერული სითხის

კრისტალური ბურთი  
რომლის მიღმაც უნდა დამენახა. "ეს  
მიღუესტური მეორე მხარეა,"  
განაგრძო ქრეინმა, "არგუმენტი, რომ იმის  
ნახევარი ხარ,  
რაც შენი თავი გგონია, და რომ ამის  
დასაცავად

50 კილო მაინც უნდა დაიკლო,  
რათა სამყაროს თითქმის კაცად ევლინებოდე,  
რევისტულ თვალის კაკლის უელედ თვალბუდის  
ცილინდრში, ერთგვარ ღმერთად, ამ  
დასავლური ლამის ტლალოკად. - მოიცა,  
დამამთავრებინე. მე ნაკადს ვკამათობდი  
ჩემივე კასრების გავლით, უიტმენის  
მობილურ ხელზე გამობმული.  
როთკოზე გიფიქრია? ნახატები,

რომლებითაც  
ის ცდილობდა, სურრეალისტებს  
შეერთებოდა, სხვების მიერ იყო დახატული.  
მერე შიგთავსი წაშალა თავისი ნაშრომებიდან.  
რაც მანამდე სცენას წარმოადგენდა  
დრამისთვის  
ახლა თვითონ იყო დრამა - სტატიკური,  
მართვადი, უწონო საბურავების ზვინები  
რომელთა ინექციაც თავისი ორფული

სისხლით შეეძლო.  
საფასური საშინელი იყო, რომლის  
გაცვლაზეც მე უარი ვთქვი. ჩვენ ორივენი  
თვითმკვლელები ვართ,  
მაგრამ მე ერთი კარიდან გავედი, როთკო -  
მეორიდან."

შენ ნაპერწკალი ხარ, ქრეინ! და არა  
ქვესკნელი!  
მე შემიძლია, თანაგიგრძნო და განვიცადო  
ამხანაგობის ჯაჭვი,  
მაგრამ გონებას რომ ვიკრებ, შენს მიღმა ფი  
დელტას "ჯოჯოხეთის ოთახს" ეხედავ  
ვიცი, შანსი, საგნები შიგნიდან გარეთ  
დამენახა, 19 წლისამ დავკარგე,  
როცა ხარის ყლე ყელზე დავიხვიე და ვიდექი  
ასე, დამცირებული,  
ისე, რომ ხელი არ შემიბრუნებია.  
კარიკატურა შეიძლება ოქსიმორონული შხამი  
იყოს,  
და ჩემი სურვილი მაშინ დამარცხდა -  
თუნდაც მართალი იყოს, რომ ამ ფსევდო-  
სატანური ნადიმის ტკივილმა და  
უცნაურობამ  
მომაბრუნეს, 3 წლის შემდეგ, ამ საქმისკენ.

ამრიგად, ქვესკნელის უმწიფარი სატირა  
ჩემი პოეზიის მამად უნდა ვაღიარო. ანდა  
შეზღუდვად, რომელმაც გაწყვიტა ჩემი  
მოშვებულობა.

მაგრამ ამგვარია არავითარი მხარდაჭერა  
ქვესკნელის მხრიდან,  
არავითარი პო განგრენესცენციური მეტროს  
შესასვლელთან...

მეორემხრივ, პო რიგითი პიროვნებაა და არა  
სისხვავის მნიშვე ჭაობი,  
თავის წევრობას რომ ყურში ჩასასისინებს  
მძინარე ცოცხალ ადამიანს.

ჩვენი იმაგინალური დანატოვარის ბირთვი  
ესაა: მაია, ბერძნები და ეგვიპტელები  
არ გადმოგვცემენ თავიანთ ზღაპრულ  
წვენთა აყიროებს, რომლებშიც  
ჭინკები ანათლებენ კობოლდებს, მართულნი  
პირქუში ფერიების მიერ. კაისაკუს ვფიცავ!  
ისინი ჩვენ სახე-ხატთა ეკრანებზე  
პროეცირებული სლაიდებივით არიან!

ამ მიზეზით დავუბრუნდი, აგრარული მიწის  
გავლით, იმათ,  
ვინც, როგორც ჩანს, 20,000 წელი გაატარეს  
ჭიდაობაში, რომ განედევნათ და შეეთრიათ  
ცხოველი თავიანთ თავებში...

ხვრელებით განსაზღვრული ხალხი! მათ ისე  
ქვეგამოგვთხარეს  
რომ ახლა თითქოს ყოველი ქვა სიცარიელეს  
ფარავდეს.  
შენი და ჩემი რწმენის უკუსაყრდენი ეს იყო:  
ზედაპირი მყარია.

ქრეინმა თავი გადახარა. "მე სივრცის  
მწოველი ვიყავი -  
და შენ, შენ სიღრმის მწოველი ხარ, სიღრმეს  
იწოვ?"

მახეს მიგებდნენ, რათა ლამის მფურჩქნავი  
უფსკრული დამეცვა?  
მხრები, რომლებზეც ყოველი დგას, მხრები,  
რომლებიც არ არიან?  
მუზა ანგელოზი დუენდე გაყინული 1000  
ფსკერის სიღრმე ლეზ ეზიში?

"შენ ღორივით სკდები ქვესკნელური  
მონაჩმახით,"  
დაიჭყანა ქრეინი, "გინდა შენი თავის  
ნაკლული ამბავი იპოვო  
და არცერთი პერსონალური თუ

ტრანსპერსონალური მითიან ფსიქოანალიზი  
არ გამოდგება.  
უჩვეულო ისაა, რომ პოტენციურ მე-დ  
ორმაგი ცემის გზით გამოიკვეთე: მამაშენის  
და ფი დელტ “აქტივების”.  
შენთვის, შემოქმედება კატასტროფაზე  
კონტრ-შეტევაა  
და სადაც კი წახვალ მემკვიდრეობას თან  
წაიღებ.  
შენი გასაჭირი ის აღმოჩენაა, რომ მამით-  
ჩახერგილი კარის მიღმა  
ხელკეტიანი ვაჟები დგანან.”

ის თავის სახეზე ჯდაპნიდა, თითქოს შავი  
ფურცელი ყოფილყო -  
თვალებს ერთად აამოძრავებდა, ანდა ცალ  
წარბს შეიჭამდა, მერე ყურიდან გამოიღებდა.  
"ახალი ანატომიები," დაიკრიჭა, "აპა, ცარცი  
გამომართვი ..."  
მერე ცხვირი დაიპინოქიოვა, და თქვა:  
"იესო, რომელიც ხორცში მუშაობდა, ყველა  
პოეტისთვის გამოწვევაა.  
სურვილი, როგორც ის არტომ მოთხრო,  
ადამიანის სხეულის გარდაქმნაა,  
მისგან ორგანოების მოშორება, მისი

ნამდვილი ცეკვისთვის აღჭურვა.  
ჩემი ტრიუკით ორიზაბას მიღმა რომ  
შევისანსლე,  
დასაშლელ სივრცეში ამოვყავი თავი,  
ბრაგაბრუგით თავჩაქუჩას ხორხისმიერებში  
რომელმაც მოსწყვიტა ჩემი ტრაკი - რა უნდა  
მეთქვა, “მსუბუქ ქურთუკს”?  
დიონისური მოძრაობა თვითნებური  
პერისტალტიკაა, საკუთარი სიზმრების  
მასაჭუვებელი,  
სადაც უიტმენი და დიკინსონი იკვეთებიან,  
ქერა გველი იჩეკება,  
შენი თეთრი აპოლონის ბუდობისა. თვალებში  
ჩამხედე, მის ძმებს იხილავ.”

რომ ჩავხედე მის ირისებს დალურჯებული  
ქუთუთოების მიღმა,  
ტყუპმა მარჯნის გველმა, პირში კუდებით,  
იწყო ტრიალი  
იმის გარშემო, რაც ქრეინის დამფრთხალი,  
შემბრალებელი თვალის გუგებისგან  
დარჩენილიყო.  
ისინი იყვნენ მისი ნაკლული ამბავი? ის,  
რომელიც ყველას გვაკლია,  
სანამ უფსკრულის ფიცს არ დავდებთ და არ

ვაკურთხებთ იმ სივრცეს  
რომელშიც მკვდრები გვწვდებიან და  
გვაფრთხილებენ თავიანთი ბზრიალა  
თვალებით  
რომ არასრული სარკინიგზო ნიშნები  
განლაგებულია ყველგან, სადაც კი  
მივიხედავთ?  
ქრეინმა კლანჭები მომიღერა, მე უკან გავხტი,  
მისმა კლანჭმა  
კი სრული წრე შეკრა და მის მეორე მხარში  
ჩაჯდა.  
მერე მოიგლიჯა თავისი ბრჭყალ-მხარი და  
ცალ თვალში გაირჭო,  
მეორე თვალი კეფიდან დაიჭირა,  
ჩასანსლა, ელვა გაიგლიჯა და თვალთა  
მწკრივი მოფსა.  
მობიუსის ეფექტი, რადგან არაფერი  
გამქრალა.  
"ქვესკნელში ყველაფერი სხვა ყველაფერს  
ერგება,"  
გაიცინა მან. ვან გოგზე ვფიქრობდი,  
ვუთხარი მე, ყვავები ხორბლის მდელოს  
თავზე მისი ბოლო ნახატი არ იყო.  
ყვავები დობინის ბალების 2 ვარიანტზე 2  
კვირით ადრე დახატა.

"ნაყვავილარი ნაყარი ქვემო  
ცენტრალურ ნაწილში მძვინვარეა," აღმოხდა  
ქრეინს, "თითქოს ვინსენტს  
მასში დაემარხოს თავი, არა ველურ ბუნებაში,  
არამედ სხვა მხატვრის ეზოში! ბოლოს და  
ბოლოს, უმეტესობას საშუალო ფენა  
ეძვირფასება ყველაზე მეტად.  
მითუმეტეს რომ ხელოვანთა უმეტესობა  
საშუალო ფენიდანაა.  
შელი ქარიანი და წმინდაა, თითქოს მისი  
სიტყვები სამყაროთაშორის,  
ან სიტყვათაშორის მოტივტივე სივრცეებია,  
მარადიულის მოთხოვნა მეტისმეტად  
გულუბრყვილოა.  
იერუსალიმი ბლეიკის მუშათა კლასის  
სტამბითაა გაპოხილი.  
ჩემთვის ცნობილია, რომ ბანტინგმა გითხრა,  
ბლეიკი "პოეზიის სისაძაგლეაო".  
ბანტინგი შიშობდა, რომ ბლეიკი  
გამოცდილებას თაბაშირის სხმულში ტენიდა,  
რელიგიურ ყალბისმქმნელობად აქცევდა.  
ამიტომაც  
მოათავსა ბლეიკის მოჩვენებამ ორივე  
კონტაქტური ლინზა ბეზილის მარჯვენა  
თვალში იმ ღამით,

რათა ეჩვენებინა, რომ პეზილმა მხოლოდ  
ზერელედ გადახედა ნახევარს, მეორე  
ნახევარი კი საერთოდ არ დაუნახავს.  
მაგრამ, მოდი, გვეყოლიტერატურაზე.  
ამით მხოლოდ ის მტკაცდება, რამდენად  
გვაღელვებს შეუსაბამობა  
იმას შორის რაც განგვეზრახა, და რაც,  
როგორც ჩანს, ვქენით.  
პეგი ქაულის საოცარი მუტელი ჰქონდა.  
ვერასდროს შევძელი მისი აღდგენა  
როგორც არ უნდა გარდავქმნა ჩემი სხეული"  
მერე ლორა რაიდინგი დააციტირა: "სანამ  
ჩვენივე თავების ნაკლული ამბავი არ  
გამოითქმება,  
არაფერი სხვამხრივ თქმული საკმარისი არ  
იქნება: ჩუმად განვაგრძობთ მის წადილს."

ეგ ქალი მოტყანი, ჰართ?

"აპარა, მაგრამ არა იმგვარად, როგორც შენ  
შემთხვავდი.  
შენ გავიწყდება: მე ცეცხლის  
ფსიქოანალიზამდე ვიშვი,  
და ასე შევინარჩუნე ჩემი პრომეთეული  
საგუშაგო. ბრალეული ვიყავი, უოლტის ქვეშ,

მწვავე ბრალით, მაგრუნტირებელი,  
სხვა არრა იყო - ტიტანური განზრახვა!  
კომიკური, სულაც, მაგრამ ხელოვნება  
ამბოხია წინასწარგანსაზღვრული ძრწოლის  
წინააღმდეგ.

რითმები? გრეისის და კლერენსის -  
გაკრიალება! - ხელბორკილები, გალოკილ-  
გაკრიალებული მადლი, ორიზაბავარდნა!"

შენს "ქრისტეს ცრემლებს" 2000 წლიანი  
თავსატეხის ძალა აქვს,  
ან აჯობებს ვთქვა, მე ვიღვარე მის  
დალურსმნულ ფეხებად 20 წლის მანძილზე  
და ჯერაც წინ მაქვს მისი სითხისგან დაცლის  
ხილვა.

სულ მაღლა ღრმად ჯვარცმული გედი და თხაა,  
და რაც მის თავს შეეხება, მაგონდება  
კოატლიკუეს ღვთისმშობელი,  
რომლის თავიც 2 პირისპირ მიკრული ჩხრიალა  
გველის თავისგან შედგება -  
ის ერთი მათგანის მარცხენა თვალით  
გვიყურებს, მეორის მარჯვენათი,  
რათა მიგვანიშნოს, რომ ყოველი რამის ბოლო  
ახალი წყევლის დასაწყისია.

"განვითარება ფოლადის წვიმაა,"  
ჩაფიქრდა ქრეინი, "ჩვენ მაშინ ვწერთ,  
როდესაც ფსიქე აღიძვრება.  
ესაა ჩვენი ბირთვი, სატაცური უნდა  
გვევრცელებინა,  
და მიგვეკვლია სილამაზისთვის ყოველ  
მიწიერ განვრცობაში,  
გუანოს ატოლებში, კარავაჯოს ხეშეშ  
ქუსლებში.  
ახლა სულს ის მოეთხოვება, აკურთხოს ეს  
დალები, ჯერაც ადამიანურ ფორმას არ  
ღირსებულინი,  
გარეთ გაიტანოს სხეულის ქვედა ნაწილი  
მანამ, სანამ მისი მთრგუნველი ღუმელები  
ყველა სამყაროს არ დაანთებენ.  
მაგრამ შენ აქდამთავრებ" – შემომაშტერდა -  
"ამ უსაზარლეს დროში, მიუხედავად.  
მიუხედავად ბავშვებისა,  
მატლების მიუხედავად. მიუხედავად,  
ამერიკის სახელწოდება,  
არ გინდა შენს ლექსს "მიუხედავად" დაარქვა?"  
  
არ გინდა შენს საფლავის ქვას "წამლეთ"  
მიარჭო?,  
ვთქვი დაუფიქრებლად, გაღიზიანებულმა

მისი ამპარტავნებით.  
მაგრამ ჭიქა ღვინომ გაავსო, და მის დალაქულ  
განზრახვებში სიმკვრივე დავინახე.  
როგორც სპაისერი, ისიც ყველა თავის  
ლექსთან იწვა.  
სპაისერზე რომ გამიელვა აზრმა, ქრეინმა  
მომაჯადოებელი აქტი შეასრულა:  
ბარის შიგნით რკინის ქურა გამოჭრა, რომლის  
ერთ გვერდზეც ამოქლონილიყო: ლექსი  
მერე, სახის ისე გამოყენებით, თითქოს  
საშლელი ყოფილიყო,  
აცოცდა კიბეზე და გადაეშვა,  
თითქოს ქურაში, რომლის მთლიანი  
გადახდილი თავიც წითლად ღვიოდა.  
გადამხტარმა, ფრენაში გამოკიდულმა, თავი  
შემოაბრუნა და შემომხედა  
სრულებით გასაოცარი გამომეტყველებით:  
თავი ისე მაგრძნობინა, თითქოს მისი  
პირველყოფილი ადგილი ვიყავი,  
ვგულისხმობ, მის შემოხედვაში იყო მოწინება  
სიძულვილი განცვიფრება სიხარული - და  
ლასკო!

რადგან იმ მარჯნის გველების უკან, მისი  
მზერა რომ ეყრდნობოდა, ბიზონები  
გროვდებოდნენ,

ისე, თითქოს მე, როგორც მოკვდავი არა-  
სისხვავე, ხელოვნებაში ნარევი  
ძუძუმწოვარი ვიყავი -  
ხორცის ნაწილები ვიყავი? მისი კავშირი  
სასაკლაოსთან?  
მერე უეცრად შეტრიალდა, თავისი ვარდნილი  
ნახტომი ს-დ აქცია,  
რა წამსაც ქურა Giant Steps-ად დაიშალა!  
ერთი წამის შემდეგ, ქრეინთან ერთად ვიყავი  
ქურაში,  
მის ჩრდილო კედელზე მიდუღებული,  
ერთგვარი მაყურებელი, თუმცა თავი  
როტონდის რკინაზე  
მიქლონილი მეჩვენებოდა. ქრეინი ალებში  
გახვეულიყო, ან ტალღებში, ან ზვირთებში,  
მოთამაშე და ხსნადი,  
ზოგიერთ ალებს აყენებდა და გამოარჩევდა,  
როგორც ჯიქნებს, ან სირებს,  
აგრძელებდა, შპილებად, სანთლებად, მერე  
გამოებმოდა,  
სხეულის ნებისმიერი ნაწილით, ჭიბით,  
პირით, და ბრუნავდა,  
ბზრიალებდა უმწეოდ, ექსტატურად, კაცი-  
პროპელერი,  
მერე განიკამარებდა გედყვინთურად და

დაიწვებოდა მერე სხვა კენწეროზე.  
უმეტესწილად თავი იყო, მისი ტანი -

კოლიბრი.

ფრენდა, ერთდროულად თავისი თავის  
შიგნით და გარეთ,  
ალებს ანექტარებდა, ტრიალიკვროდა.  
ისე, თითქოს მთლიანად ნიღაბი ყოფილიყო,  
ტრიალებდა და ერთ ადგილას ეკიდა  
უმსხვილესი ალის თავზე, სულ ერთი ბეწოთი.  
ქუთუთოები ელუნებოდნენ, გარეგან და  
დაბლა,  
ბებერ მომაკვდავ ახალშობილს ჰეგავდა! 6  
თვის ჩერჩილს!  
ნელ-ნელა უკან-უკან განფეთქდა, ფიცის  
ნინააღმდეგ, მის მეფობას რომ  
განავრცობდა,  
შეიკუმშა ფეტალურ ზენიტად, და მერე  
გაიბერა, ციცქნა გამჭვირვალე დირიჟაბლი,  
ელექტრული ქარით, და ამ წამს ქრეინის  
შიგნით ვიხილე  
ატიკას მახვილი, ძველ უმწეო ვარსკვლავთა,  
ნაკვერცვეთილთა,  
კვლავ რომ ალიძვროდნენ შენირულ პარკში -  
შეწირულ? ჰო,  
რადგან პოეზია პირველქმნილი გამახვილებაა,

და თავის გაკერილ მკლავებში აღმართავს  
ნინამორბედი შემწყვილებლებით გატენილ  
პეონურ საწოლს,  
მედუზას თეფშს, როგორც მაკარონულ  
ელვას. მერე ჰართი კვლავ თავის  
სასიკვდილო კანში ჩაიღვარა  
და მე შემომხედა, ისე, თითქოს ვაშლებს ყიდდა.

"ასკეზი" თქვა აგდებულად, "ბლუმის ტკბობა  
ისაა, რომ კრიტიკული რენტგენით აჩვენოს  
ლექსის კონტრა-ნატურუმ, მაგრამ რადგან  
თვით მას პოეზია არ დაუწერია,  
უნევს უაროს-ატაროს, გესმის, აუმან კოვოს  
მისი კვერცხისებრი ჩასახება.  
როგორც მე და შენ ვიცით, ლექსები  
მურენაპრალებიდან უნდა გამოათრიო,  
ეს ბრაილის ნატვიფრები დავიწყებული ჩვილი  
ბრტყელთევზებისთვის,  
მათი ფერმჭერები ერთობლივი ვალდებულებაა.  
წიგნი ყოველთვის გვიანაა; წიგნი,  
სინამდვილეში, ნაგვიანებობაა.  
ლიტერატურის კვამლი სიტყვიერ  
ნაკვერჩხალზეა დამოკიდებული. გვიანი  
1960-იანების  
ნაძარცვ ქუჩებში მოდის ჰაროლდ ბლუმი,

თან მოაქვს დაკარგული სამოთხის თავისი  
განთქმული წაკითხვა -  
ისევეამაღელვებელი, როგორც ჯეიმს ბოლფუინი,  
მოარული ჰარლემის დამსხვრეულ მინის  
ფურცლებში, ფიქრობს  
მამამისის უსიტყვობებზე, მთელი ცხოვრების  
მანძილზე, თავის სულ ახლახან მომკვდარი  
მამის, ერთხელ რომ არ უთქვამს ალერსიანი  
სიტყვა ჯეიმსისთვის.  
ნუ დავივინწყებთ, რომ ლასკოს კარქსოვილში,  
კრიტიკოსი განუსხვავებელია პოეტისგან.  
ჩვენ დამჭკნარი - თუ ზრდადი? - მოქანავე  
ლობიოს ლეროებით ვსაზრდოობთ,  
რომელთა ფესვებიც დაფარულია, მიღებადი  
ემანაციებად,  
მაგრამ უძრავი თანამედროვე  
რადიოებისთვის ... კოკტოს ორფეოსი,  
როლს-როისის რადიოსთან მოკალათებული,  
ხმაურიდან აზრის გამოტანას ცდილობდა,  
ისევე, როგორც ყველა ჩვენგანი, საუკუნეების  
მანძილზე! აცნობიერებდა ორფეოსი,  
რომ განავალი ოკეანოსის აფეთქებული  
ნაწილაკები იყო,  
რომ რაც იფრქვეოდა, მისი რადიოს გზით,  
ღვთიური მასალა იყო

პყრობილ-მიმობნეული პანის სიკვდილიდან  
მოყოლებული?  
ჩემი შავ-ბნელი გადმოსახედიდან, შენ მიერ  
ჩემი, როგორც ემანაციის,  
და არა მოჩვენების, აღმოჩენა შენს  
ლვინონაკადში, მონაპოვარია შთაგონების  
მხრივ  
და ცხოვრებაში ახალი უფსკრულის აღიარება.  
მე თავი იმიტომ მოვიკალი, რომ ძირითად  
კოსმოსს გამოვთიშვოდი,  
სირცხვილს ვგრძნობდი, არა როგორც  
ყლისმწოველი ან მოკრივის ტომარა  
მეცეცხლურთათვის...  
მე გავიხლიჩე, რადგან მექსიკაძიც კი ვერ  
მივაგენი მერყევ ცის კამარას, ჩემი ბედის  
აწმყოში რომ მივეჭედებინე".

მან დააბზრიალა თავისი La tache და  
დაიბრდლვინა:  
"რამეთუ სმენა მხეცში რჩება,  
და მხეცისაა, და მხეციდან უნდა გამოიტყნას,  
პირდაპირი მნიშვნელობით, უნდა  
გამოიწუროს იმ მუშტისებრი ქისიდან,  
ცოდნას რომ გაუმჯვირ შეინახავდა, იმ  
სათესლე-სადგურიდან,

იმ დუდუნბირთვიდან, ჩვილთა ღვთის გმობის  
კოშკი რომ ამოაბრუნა,

"გამოუთქმელი სისასტიკე იმისა,  
რომ ცხოვრობდე და არავინ გყავდეს შენს  
გასამართლებლად ..."

- ღვთის კარგვა? მაგრამ ჩვენ ღმერთი  
არასდროს გვყოლია, არც ღმერთები,  
როგორც დასავლეთის პლაგიატორები,

ეკლესიაში დავდიოდით,  
არავის გველი არ შეუყვანია ჩვენს უნაზეს  
ნახვრეტში 12 წლის ასაკში,  
და ლამე? ლამე ოფელიურია," დაიღრიალა,  
"მისი სხეული წყალში დამის შეგრძნებაა  
ჩვენს მიღმა რომ მისრიალებს, ჩვენსკენ,  
სანამ საგანთა კრობა  
ისევ და ისევ ათავისუფლებს, სანამ უმანკო  
სილამაზე  
ისევ და ისევ იძირება ჩვენი ღვარძლისა და  
დაბნეულობის ტბორულ შრეებში..."

ვამჩნევდი, რომ დაღლილიყო, რომ ნელ-ნელა  
სუბლიმაცია იპყრობდა.  
რაღაც დროის მანძილზე არაფერი უთქვამს.  
მე ამდროს შიშველ კაცზე ვფიქრობდი  
ჰიროშიმადან

რომ დგას იმ ინფერნოში, თავისი  
ხელისგულით რომ იშვერს თავის თვალის  
კაკალს.  
მე ვფიქრობდი ჩემს კოშმარზე, რომელშიც ეგ  
თვალის კაკალი  
ცაზე აცოცდა და უშველებლად ჩემს თავზე  
გადმოეკიდა, ეგ თვალის კაკალი  
ჩვენს მთვარეზე ძლევამოსილი, სინდისის  
სატელიტი,  
ძირს ანათებდა, როგორც შვეულმფრენის  
სხივი, ყველაკაცის სახლის ეზოში...

ქრეინმა თასი პეშვში მოითავსა და პარალიზება  
კვლავ თავის მხრებში გაამტვრია,  
მოუჭირა რა ჭიქას მანამ, სანამ ზურგში არ  
გადატყდა.  
შემდეგ მოაგროვა თავისი ანატომია, თავი  
მომცროდ მოაქუჩა,  
უთმო არსება თასის ძირას.  
მეზღვაურივით გამომესალმა, ჩალად  
დაიგვერდა,  
კიდემდე ჭოკად გადახტა, წამოიმართა და  
თვალის ჩაკვრით ჩაყვინთა, თითქოს  
ამბობდა, ეს მანამდეც მიქნია!  
და გაქრა ციცქნა ლაგუნის მენამულ

გრეხილსა თუ ლეთეში,  
 ალისფერი ძალმომრეობა რომ იგონებდა  
 წრიულ თვითრწმენაში.  
 ახლა სად ყვინთავდა? ღეროში რომ შეაღწია,  
     მე ვარსკვლავები დავინახე.  
 ნუთუ ამ ხილვას ვრცელ ვულგარულობაში  
     უნდა მივეშვი?  
 სალანძლავი სიტყვების თხევადი კუილი  
     გამოიკლაკნა, და ის გამქრალიყო,  
 ვულგარული და მგლოვიარე, ვულგარული,  
     ბულგარისა, ვულგარი და სრული.

**[კომენტარი:** რაც აშკარაა, ლექსის ტრაექტორია  
 არქეტიპულ პოეტურ აქტს, მკვდრების საუფლო-  
 ში / ქვესკნელში / ჰადესში დაშვებას ინსცენირებს  
 (განსაკუთრებით, ალბათ, ოდისევის დაშვებას და  
 ტირესიასთან შეხვედრას ოდისეაში) – გასათვალ-  
 ისნინებელია ისიც, ალბათ, რომ ეს ტრაექტორია,  
 ზოგადად, ეშელმანის (და, იქნებ, საერთოდ ყვე-  
 ლა) პოეზიის მთავარი ოემაა: დაშვება ქვესკნელში,  
 როგორც არაცნობიერში, როგორც საკუთარ სხე-  
 ულში, და, განსაკუთრებით მის პოეზიაში, რო-  
 გორც დაშვება ქვესკნელის პირველქმნილ ნიმუშ-  
 ში: ზედა პალეოლითურ მოხატულ გამოქვაბულებ-  
 ში. (თავად ლექსის ფორმაა, ცხადია, ვერტიკალუ-

რად დაბლა დაშვება) რაც შეიძლება ნაკლებ თვალში საცემი იყოს ისაა, რომ ამ ლექსს სხვა თანამგზავრი თუ მოდელიც ჰყავს: ჩენი პოეტის, ვლადიმირ ჭოლანის გრძელი ლექსი ღამე ჰამლეტთან, რომელიც ჩვენი დროის ერთ-ერთი მთავარი ლექსია და რომელიც ეშელმანმა ინგლისურად თარგმნა (ჭოლანთან პოეტს ღამით ეცხადება ჰამლეტის აჩრდილი და, გათენებამდე, გრძელ საუბარს, მეტნილად მონოლოგის სახით, აბამს მასთან).

"ჰამლეტის" (ან ტირესიასის) ნაცვლად, მხელებელი მკვდარი აქ ჰართ ქრეინია, ეშელმანისთვის უმნიშვნელოვანესი ამერიკელი პოეტი (vide, ავტორთან საუბარი ამ წიგნის ბოლოს). ქრეინის ვიზიონერული პოეზია ორომს შორის ჰერიოდის ამერიკული პოეზიის ერთ-ერთი მწვერვალია; ამ ლექსის კითხვა შეიძლება გააღრმავოს და განავრცოს ქრეინის პოეზიისა და ცხოვრების ცოდნამ, მაგრამ აქ იმის თქმას ვიქმარებ, რომ პოეტმა 1932 წელს, 32 წლის ასაკში მოიკლა თავი - გადახტა გემი ორიზაბა-დან.]

## მოთხოვა

ასე დაიწყე: სამყაროს არ აქვს წარმოშობა.  
ჩვენ გარს ვერტყმით მომენტს, საყვარლები  
რომლებიც, გარს ვერტყმით რა ერთმანეთს,  
ვიძირებით  
ფანტაზიაში:  
ახლა ჩვენ ვიცით ცხოვრების აზრი.

უორდსუორთის მოგონება: დაემხო ნება,  
ნანგრევების განებივრება, ისე, თითქოს  
უხუცესი კაცი  
ფიქრობს რა ყველაზე ადრეულ  
რამეზე  
წარმოსახვას სთავაზობდეს მის უგულუხვეს  
საბოძვარს.

ლექსი გველია, წამიერისგან მიიჭაობებს,  
ახლადან მიხოხავს (მის მდგომარეობათა  
პირნაკეთობად)  
ფენვან, ნივთიერ დროში.  
ახლა დგას ტერას ცრემლყურად მოწყვეტილი  
ერა.  
გველასთვის, მარტოოდენ კლაკნილი  
მის მადაში.

ჩვენ ვაღიარებთ პირველწყაროს იმისთვის  
რომ ვაღიაროთ ბოლო,

და თუკი შენი სასმელი წყალი  
საკანალიზაციოა,  
მსგავსი ქცევა გასაგებია.

როდესაც წყალი სუფთაა, ლილითის ანატომია  
თვალმოკვრადია თითოეულ წვეთში.

მაგრამ არასდროს წყალი არაა სუფთა.

მანამ, სანამ დრო, როგორც ჩანს იყო  
სუფთა წყლის ერთი ჭიქა.

მაშასადამე, ვვარაუდობთ, მას მერე, რაც დრო  
იქნება კიდევ ერთი.

ცხოვრება, სიცარიელეს გარშემორტყმული  
შარავანდედი.

ასე განაგრძე: არა სხეული სულის წინააღმდეგ,  
არამედ ნებისმიერი სიტუაციის  
თანდაყოლილი სიორმაგე.  
ამგვარად შერწყმა შეიცავს აგრეთვე უფსკრულს.

დასკვნა: გამოკიდული ვარ პირველწყაროსა  
და ახლას შორის,  
ანდა პირველწყაროსა და ახლადან სულ ერთი  
ნამის წინ.  
თავს რომ განვიკვანძავ ორივე ბოლოდან,  
ვვარდები უ ძაბრში, უფსკრული რომ  
მთავაზობს.

არაფერს მოაქვს კმაყოფილება. და,  
ჩემი ტანჯვა არაფერია. ორი ცალი საფოსტო  
მარკა  
მიწებებული, ზურგდაზურგ,  
უფსკრულკადაბრა.

რაა, რაც აკლია? რა და პოეზია იმდენად  
სავსე კლანჭებით  
რომ მკითხველს სახე მოაგლიჯოს.  
მეტისმეტია? ნახე კაცები რას უშვებიან  
ერთმანეთს....  
ხელოვნება რატომ უნდა დასჯერდეს  
ნაკლებს?

პოეზიის საშინელი პასუხისმგებლობა:  
ენაში სამყარო იყოს.

## მთვარის ჭიპი

მონტე ალბანთან, დანსანტეს წინაშე,  
იხრება ანა მენდიეტას ჩრდილი.  
გაბრტყელებული ფიგურა, ანას მსგავსად,  
სულზედაპირი,  
ქვის ლოყა, კუზიანი შროშანოვანი კამარით,  
დაგლეჯილი ხილვის გულში.  
ამრიგად, თანაგრძნობა. ამრიგად ხრეშთან  
ნაზავი სინაზე.

მზიური ისრის წვერში,  
ვაგნებ დაბმულ და გაფარჩეულ დედაჩემს.  
დიდი ლოკო კინა მოადგა პლაცას.  
მეტაფორაში, პირველქმნილი მღელვარება:  
ყველაფერი არაფერია,  
რაღაც არის შხამიანი სოკო, რომლის ქვეშაც  
დაფლეთილი ელფები იკუნტებიან.  
რა დღროა საჭირო იმისთვის, რომ მიწის სიმძიმე  
მივიღო თავში?

კოატლიკუე წინ იხრება  
საკმარისად, იმისთვის რომ მატლს ჩრდილი  
მიართვას.  
კაცად მის წინაშე, ვიგრძენი ჩემი ჩვილი ზომა  
დედაჩემის წინაშე - ანდა, მოდი, ვთქვათ

კოატლიკუეა ზომა რომელიც გარს ერტყმის  
ხვრელს  
დედაჩემის ვაშლში რომ გავთხარე - და  
ამდენად, მართლაც,  
მატლი ვარ ჩრდილში, გველკაბამ რომ  
გადმოფინა  
- რომელსაც ხელს არავინ ართმევს.  
კოატლიკუეს გულს ართმევენ,  
რადგან ისიც დიადი გველის ამალის ნაწილია,  
ყველა სწორ პასუხს ესმის კითხვა  
ორი ჩხრიალა გველისგან, შუბლმიტყუპებული  
კითხვის ნიშნების მსგავსად რომ  
ურთიერთირნებიან მის თავად.

ოაქსაკურ ქვენათებაზე  
ლამის ცა ჩამოკიდულ ამაღლებად,  
ნეკორპოლისი ჩამოკიდულ დაცემად.  
ჩვენ შევყუულვართ, სამუდამოდ, როგორც  
ახლა, ნაზ ძვლის მკლავებში,  
ზენიტის მილიდან გამოსული ნიავითა და  
მოთქმით განმტკიცებულნი,  
მილიდან რომელშიც თხევადი ღამე იღვრება,  
ერთგვარი ლარვული აბანოზი ბეისბოლის  
მოთამაშეთა ხელებისთვის,  
ხდომილებათა ნაწნავი მაღემქროლ ნაკადში,

აწმყოროგორც პარაშუტის დამძიმებული ქისა,  
ნარსული კი მისი გუმბათი, მომავალი  
მიწის ფარული ღიმილის აღმასვლა.

დრო შრეებადაა განლაგებული. ყოველი  
საწყისი აღრმავებს  
ისე, თითქოს ყოველი ფოთოლი თავის ხეს  
იწონიდეს,  
მაშასადამე, სადაც მე ვდგავარ: მეს წონა?  
დედამიწის ბარძაყებიდან ამოქაჩული ჩვილი,  
ან იქნებ ქვაა, რომელიც კაცისგან გამოდის,  
რაც ყველაზე მაგარია კაცში, არ-ყოფნის  
საზიდი,

იყო სასრული ჩიხი  
სათესლე ანგელოზს შეჯახებული.

მე სამხრეთული ჯვრის საყრდენზე ვარ  
გაკრული,  
ფლუგერი ჩემი უიმედო ცენტრალური ძილის  
ყორლანზე,  
აქ, ჩემი ქოთნებითა და თოვინებით,  
ცოცხლად დამარხული ჩემს წარმომავლობაში,  
იმ თავისებურებათა თხემიან მუშტში  
რომლებიც ჩამომკიდეს, რომლებიც ავირჩიე,  
მეტარებინა.

თეთრკანიანი დასავლელი რევოლუციურ  
ლოდებს არ ძრავს.  
სეზერისებრი კაცისგან განსხვავებით, ის  
ლარიბებისთვის არ ლაპარაკობს.  
ის წაულაა სურნელებაში, რაღაც, რაც  
არ იკლებს, ანდა იკლებს, ლალატობს  
კვამლსადენში ჩალაგებულებს.

"მთვარის ჭიპი" მექსიკამ  
ჯერ საფლავიდან ამომთხარა, ბუზების შავი  
ლაბადა  
შემოძარცვული ჩემი უმანკო გულის ანანასს.  
ესაა სადაც მე ჩემს პოეზიას დავმარხავ,  
მთვარის სისხლის კარიბჭე, ხეობა, რომლის  
ბილიკიც  
ჭიანჭველების ზურგებია, მბზინავი  
მენამული გზა,  
ესაა სადაც ყოველთვის მსურდა, მეთამაშა,  
ზეატყორცნილს, ფალურ სიზმრის ოჩოფეხებზე,  
გულივერ-კაცი, დროსთან კოლაჟირებული.

მე ვარ კაცი, რომელიც გზას იკვალავდა კაცში,  
რომელიც იკვება კაცის ძვლის ტვინით და  
გვაცნობა რომ მას წყარო არ აქვს.  
**რა რს სევ და წაიმდერა ნოს მოჩვენებამ.**

"ბინძური წყალი, რომელიც სათლს მაინც  
წმენდს"

უპასუხა მენსტრუალურმა მესიზმრემ.  
მე, არიელმა, ორს შორის ჩაფურთხებულმა,  
მე, არიელმა, ორის მიერ განთავისუფლებულმა,  
ვიხილე ლოგინად მომაკვდავი გოგო, მისი  
ხელი ვარდის ხე იყო,  
მასთან შევხოხდი, შევკარი მე  
თხრილად მის გარშემო, ნიმბად,  
მერე ხემ იყვავილა ზღაპრული შხაპი.  
თითოეულს ციცქნა ლელვის წინსაფარი ეკეთა.  
თითოეულს ხელში შუშეუნა ეჭირა თან  
წესისამებრ უვლიდა გარს ხეს.

და მონტე ალბანზე ჩვენ  
პატარა უჯიშო ძუკნა გამოგვყვა  
რომელიც ჯერაც თავის ნაშიერს კვებავდა,  
ჩვენი თანამგზავრი ამ უმთვარეო ღამით.  
ის ჩამოგვეყრდნო, სანამ ჩვენ ვისხედით,  
ბინძური, ანცი,  
კუდს აქიცინებდა ავტოსადგომისკენ  
სადაც მე მისი შვილება ვისურვე.  
პატარა კაცო, შენ გიშვილეს,  
პატარა სნეულო ცუგა, პატარა შულამიტ  
კორდზე -

მის სადავეზე, ძალა იღვრება შენს ყელში.  
საქმე მარადიული გარდაქმნაა,  
დედა უსასრულოა. ვამპირული  
სიტყვასიტყვითობის წინააღმდეგ,  
შეაკავე მეტაფორა, დაწვი ჯვარი მენტალური  
ტკივილით,  
ის კვლავ წარმოიქმნება, ია, ზაფხულის  
ქარიშხალი.

ამაღამ მე შეცდომის უკვდავებასთან  
გავედი კავშირზე. ჩურუნგა,  
ჰქმენ! გამიღე შენი ფორამენ მაგნუმ.  
გენიტალიებსა და ტვინს შორის  
მხოლოდ აფეთქებული ხიდებია.

**"არ ხარ ვალდებული, სხვის მალოდიას  
ასრულებდე - შენი მალოდიური ხაზი  
გეძმინი!"**

(საუბარი კლეიტონ ეშელმანთან)

**ირაკლი ყოლბაია:** შენი ლექსი "მოთხრობა" ასე იწყება: "ასე დაიწყე: სამყაროს არ აქვს წარმოშობა", და მაინც, მეჩვენება, შენი პოეზია წარმოშობის მუდმივი ძიებითაა შეპყრობილი - პირადი წარმოშობა; წარმოსახვის / პოეზიის წარმოშობა. ამავე სახელწოდების ადრეულ ლექსში ბლეიკიანური "პერსონაჟიც" კი გვხვდება, სახელად Origin (ალუზია სიდკორმანსა და მისი უურნალ 'origin'-ზე?). შეგიძლია, ისაუბრო წარმოშობის მოტივზე შენს პოეზიაში და, უფრო კონკრეტულად, შენი, როგორც პოეტის წარმოშობაზე?

**კლეიტონ ეშელმანი:** ჩემი წარმოშობასთან დამოკიდებულება მრავალწახნაგოვანია. ვფიქრობ, ეს მაშინ დაიწყო, როცა 16 წლისამ მოვისმინე, როგორ უკრავდა ბიბოპ პიანისტი, ბად პაუელი სტანდარტულ მელოდიას, "Tea for Two". პაუელის შესრულებას გაუთავებლად ვუსმენდი, ვცდილობდი მომეხელთებინა განსხვავება სტანდარტსა და იმას შორის, რასაც მას ბად პაუელი უხერხებდა, როგორც

ის ეპყრობოდა მას. ბოლოს ბუნდოვანმა აზრმა მო-  
აღნია ჩემამდე: არ ხარ ვალდებული, სხვისი მელო-  
დია უკრა - იმპროვიზირება შეგიძლია (როგორ?),  
შენი მელოდიური ხაზი შექმენი! როგორ, მართლა?  
ანუ არ ვალდებული, ჩემი მშობლები გავიმეო-  
რო? დარჩენილი ცხოვრება მათი მელოდია არ უნ-  
და ვუკრა? მოგვიანებით მივხვდი, რომ ბად პაუელ-  
მა ტრივიალური სიმღერა აიღო და წარმოსახვით  
სტრუქტურად აქცია. თუმცა მართალია, რომ ჩემი  
პირველი შეხება წარმოსახვასთან სასტუმრო ოთა-  
ხის იატაკზე კომიქსების კითხვა იყო, მოზარდობი-  
სას ბად პაუელი ჩემი პირველი შეხება იყო შემო-  
ქმედებასთან, და, უდავოდ, საკვანძო ფიგურა, რო-  
დესაც, 23 წლის ასაკში, პოეტი გავხდი.

იმავე დროს, როდესაც, ინდიანას უნივერსიტ-  
ეტში, ლექსების წერა დავიწყე, ბიბლიოთეკაში სიდ  
კორმანის პოეზიის ჟურნალი, 'origin' აღმოვაჩინე.  
სიდთან მიმოწერა დავიწყე, და 1962 წელს, როდე-  
საც კიოტოში ვცხოვრობდი, ის გავიცანი ყავახან-  
აში, სადაც ყოველ სადამოს იჯდა. რამდენიმე წლის  
მანძილზე ვუყურებდი, როგორ ამზადებდა და ად-  
გენდა 'origin'-ს და მისგან უამრავი რამ ვისწავლე  
პოეზიის თარგმნაზე. ეორმანი პირველი ამერიკე-  
ლი იყო, ვინც დიდი გერმანელი პოეტი, პაულ ცელ-  
ანი თარგმნა ინგლისურად. ამავე პერიოდში მეც

გადავწყვიტე, პოეტური შეგირდობის პროცესში, სეზარ ვაიეხოს ადამიანური ლექსები მეთარგმნა.

თითქმის ყოველ შუადღეს, ამ პერიოდში, ვაიეხოს თარგმანებზე ვმუშაობდი სხვა ყავახანაში, რომელსაც იორუნომადო ერქვა, რაც იაპონურად "დამის ფანჯრებს" ნიშნავს. ერთადერთ დამაკმაყოფილებელ ლექსში, რომლის დაწერაც იაპონიაში ყოფნისას მოვახერხე ("იორუნომადოს წიგნი"), თავი ერთგვარ უანგელოზო იაკობად წარმოვიდგინე, შევჭიდებოდი ფიგურას, რომელიც ფლობდა ენას, რომლის მნიშვნელობის გამოგლეჯასაც ვცდილობდი მისი ხელიდან. მე დავმარცხდი და შუა საუკუნეების იაპონიაში, სეპუკუს (ან ჰარაკირის) რიტუალურ ადგილას ამოვყავი თავი, სადაც ვაიეხომ (ახლა ბატონის როლში) მიბრძანა, ჩემივე მუცელი გამომეფატრა. ასეც მოვიქეცი, წარმოსახვით, გავწყვიტე ჯაჭვები ჩემს "მოცემულ" ცხოვრებასთან და გამოვუშვი დაიმონი, რომელსაც იორუნომადო ვუწოდე, რომელიც ამ წამამდე (ასე მითხრა ჩემმა ხილვამ) საკურთხეველს იყო მიჯაჭვული ჩემს მზის წნულში. ამრიგად, ამ დროს ვაიეხოსთან ჩემი ბრძოლის ნაყოფი იყო არა წარმატებული ლიტერატურული თარგმანი, არამედ წარმოსახვითი ძვრა, რომელშიც ჩემმა ტექსტთან ურთიერთობამ მესამე ფიგურა წარმოშვა. მაშ, სიკ-

ვდილი და რეგენერაცია = სეპუჯ და იორუნომა-  
დოს დაბადება, ანდა გარღვევა იმაში, რასაც შეი-  
ძლება რიტუალური ცხოვრება ეწოდოს.

თუკი ბად პაუელმა და იორუნომადომ (ვაიებ-  
ოს გავლით) მოკლე, თუმც აუცილებელი, თავგა-  
დასავლები მომცეს წარმოშობის გზაზე, გადამწყ-  
ვეტი ზედა პალეოლითის, ანუ კრო-მანიონული  
მღვიმეების მხატვრობის აღმოჩენა იყო სამხრეთ  
საფრანგეთში, სადაც 1974 წელს ჩავედი. ჩემი ცო-  
ლი, ქერილი, და მე სოფელში ვცხოვრობდით დორ-  
დონის რეგიონში და მას მერე, რაც ამ გამყინვარე-  
ბის ხანის მოხატულ მღვიმეთაგან ერთ-ერთს პირ-  
ველად ვესტუმრე, ღრმა წარსულმა მომიცვა. ეს  
უშველებელი ტრანსპერსონალური სივრცე (შემო-  
რჩენილი ისტორიისა ან ენის გარეშე) სრულიად  
შორს იყო ჩემი წარმომავლობისგან, და 70-90-იან-  
ების მანძილზე, მუდმივად ვუბრუნდებოდი და ვიკ-  
ვლევდი მოხატულ მღვიმეებს. მე პირველი პოეტი  
ვარ, ვინც ის შეასრულა დღეისთვის ჩვენთვის ცნო-  
ბილ ხელოვნების წარმოშობასთან დაკავშირებით,  
რასაც ჩარლზ ოლსონმა "გაჯერებითი სამუშაო"  
['saturation job'] უწოდა. პოეზიის კრო-მანიონულ  
მეტაფორებთან დაკავშირებას, და მის ამ გზაზე  
გაყოლას, არა მხოლოდ მიყავხარ უღრმეს ქვენა-  
ფენთან - ჭეშმარიტ საძირკველთან - არამედ გაკავ-

შირებს გარემოსთან, რომელშიც წარმოსახვა პირ-ველად გაიფურჩქნა. ამ მღვიმეებთან ზრდადმა კავშირმა გამაცნობიერებინა, რომ, როგორც ხელოვანი, ვეკუთვნი პრეტრადიციას, რომელსაც სულის ქმნის უძველეს დამეებთან და დღეებთან მივყავართ.

ი. ყ.: ბევრ შესაძლო კითხვას ვხედავ, რომლებ-საც შენი პასუხი შეიცავს, და მინდა, ზოგიერთ მათ-განს მოგვიანებით დავუბრუნდე; მაგრამ პირველ რიგში მსურს გკითხო ამერიკული პოეტური სცე-ნის შესახებ იმ დროს, როდესაც გადაწვიტე, პოე-ტი გამხდარიყავი. შენ 1958 წელი ახსენე, როგორც ერთგავრი საწყისი წერტილი შენთვის - საიდანაც ორ წელინადში დონალდ ალენის ანთოლოგია, ახ-ალი ამერიკული პოეზია გამოიცა. შეგიძლია ისა-უბრო ამ მომენტზე, ისევე როგორც ამ არაფორ-მალურ, მაგრამ (მეჩვენება) გადაჯაჭვულ მოძრა-ობაზე, რომელიც იმ დროს ვითარდებოდა, როცა შენ წერა დაიწყე? შენ ახსენე სიდ კორმანი და ჩარ-ლზ ლლსონი; შეგიძლია ისაუბრო სხვა პოეტებზე, ნინა ან შენი თაობის, რომლების პოეზიაც მნიშ-ვნელოვანი იყო შენთვის? შენ ისაუბრე ვაიეხოზე, როგორც ოსტატ პოეტზე, შენი პოეტური შეგირ-დობის პერიოდში; ვინ იყვნენ, ამავე პერიოდში, ამერიკელი ოსტატები, ინიციატორები? შესაძლოა

იმის თქმა, თუ რას წარმოადგენდა ახალი ამერიკული პოეზია (ზოგადად / პირადად შენთვის)?

**კ. ვ.:** 1958 წელს სტუდენტი და პოეტი ჯეკ ჰირშმანი და მისი ცოლი, რუთი, გავიცანი. ჰირშმანები ნიუ იორკიდან ჩამოვიდნენ ინდიანაში; ნიუ იორკში ისინი ახალგაზრდა პოეტებს - რობერტ კელის და ჯერომ როთენბერგს - იცნობდნენ. კარგად იცნობდნენ, აგრეთვე, 20-ე საუკუნის ევროპელი პოეტების (მაგალითად, ლორკას, ბრეტონის, რილკე) შემოქმედებას და პირველად მათგან გავიგე ბევრი ისეთი პოეტის შესახებ, რომელსაც დღემდე ვკითხულობ. ჯეკს და რუთს პოეზიის კითხვის კლუბი ჰქონდათ, სახელად "Babel", სადაც ჩემი პირველი კითხვა მოეწყო, სენ-ჯონ პერსის თარგმანებით. ამავე დროს აღმოვაჩინე უურნალი 'origin' და დავიწყე ისეთი პოეტების კითხვა, როგორებიც არიან ალენ გინსბერგი (რომლის 1956 წელს გამოცემული "ყმუილიც" სკანდალურად პოპულარული იყო ამ დროს), ჩარლზ ოლსონი, რობერტ დანქანი და პოლ ბლექბერნი, რომლებმაც აგრეთვე 50-იანებში დაიწყეს გამოქვეყნება. ამავე დროს აღმოვაჩინე პაბლო ნერუდას და სეზარ ვაიეხოს პოეზიები, ლათინურ-ამერიკული პოეზიის ანთოლოგიაში, და, ლექსიკონების გამოყენებით, თარგმანების შესწავლა დავიწყე (თავზარი დამცა

იმან, თუ რამდენად უზუსტო იყო პოეზიის თარგ-მანების დიდი ნაწილი, რამაც, ვფიქრობ, დიდი როლი ითამაშა იმაში, რომ მოგვიანებით ნერუდას, ვაიეხოს, ემე სეზერის და ანტონენ არტოს მთარგ-მნელი გაეხდი). ეს იყო ხანა, როდესაც ათასობით ახალგაზრდა "დაადგა გზას" და მეც, 1958 წლის ზაფხულს, დამგზავრებით ჩავედი მექსიკაში. ამ მოგზაურობამ მოგვიანებით შთამაგონა, მეცხ-ოვრა სხვადასხვა ქვეყანაში, იაპონიასა და სა-ფრანგეთში. კიოტოში ყოფნისას უილიამ ბლეიკის პოეზია სრულად წავიკითხე და დიდხანს ვიკვლიე გზა მისი გრძელი წინასწარმეტყველური პოემე-ბის, ოთხი ზოას, მილტონის და იერუსალიმის უსი-ერ ტევრში. შთაგონების გარეშე, რომელიც ბლეიკ-თან ჯაჯგურმა მომცა (ერთხელ, ურიზენის წიგნ-ის კითხვისას, გული წამივიდა), არ მგონია, მქონ-და იორუნომადოს წარმოშობისთვის საჭირო მხ-ნეობა.

ყველა ხსენებულმა პოეტმა, ისევე, როგორც უოლტ უიტმენმა, ემილი დიკინსონმა, უილიამ კარ-ლოს უილიამსმა, ჰარტ ქრეინმა, გარი სნაიდერმა, ედრიქ რიჩმა მომცეს იმის შეგრძება და ცოდნა, თუ რა არის და რა შეიძლება იყოს პოეზია. ამათ-გან, ვფიქრობ, ყველაზე მნიშვნელოვანი ჩემთვის ჰარტ ქრეინი იყო. ლექსებმა "ქრისტეს ცრემლე-

ბი" და "ლვინის სამხეცე" ისევე შემძრეს, როგორც - ბლეიკის ზოგიერთმა თხზულებამ. ეს ლექსები ჩემგან ითხოვდნენ, თავი განმევრცო, რათა ჩემში დატეულიყო საგანთა უჩვეულო აღქმა, რომელიც, ინტუიცია მკარნახობდა, არ იყო ნონსენსი ან-და უმიზნოდ რთული და გაუგებარი. ქრეინის მეტაფორული ცვლები მაგონებენ პაუელის უწესრიგო ბიბოპ რიფებსა და ხაიმ სუტინის მიწისმძვრელ რუმბა-პეიზაჟებს.

აი, რამდენიმე კომენტარი პოეტებზე, რომლებიც უკვე ვახსენე და რომელთაგანაც ყველა უზომოდ მნიშვნელოვანი იყო ჩემთვის:

მას მერე, რაც 50-იანებში ჩრდილო ამერიკული ტრიქსტერი კოიოტის შესახებ დაიწყო ლექსების წერა, გარი სნაიდერმა განავითარა მგრძნობელობითი, ლანდშაფტის თანახმიერი, ცვლილებისა და მოძრაობის პოეზია, რომელიც, ჩვენი პოტენციური პლანეტარული დალუპვის ფონზე, ერთგვარ განსაწმენდელად იქცა ადამიანის ცნობიერებაში. სნაიდერი ეტრფის ბუდისტური სიცარიელის პრინციპს: "მე" არ არსებობს, ყველაფერი, რასაც ვხედავთ და რაც ვართ, ცარიელია. ამრიგად, სნაიდერის პოეზიაში არ გვხვდება სენსტიური ან ტანჯული ფსიქოლოგიური სუბიექტი. 2000 წლიანი ქრისტიანობით მართული სამყაროს "არაქრის-

"ტიანულ" ბუნებაში დასაპრუნებლად, ღირებულებათა საზომი ძირეულად უნდა შეიცვალოს. სნაიდერის მთებს და მდინარეებს ბოლო არ უჩანთ პირველი მნიშვნელოვანი დასავლური პოემაა, რომელიც ბუდისტური პერსექტივიდან ხატავს ბუნებრივი სამყაროს ფართო სურათს.

რობერტ კელი, ალბათ, 20-ე და (ჯერჯერობით) 21-ე საუკუნის ყველაზე ნაყოფიერი პოეტია. გარდა სამოცდაათზე მეტი პოეტური კრებულისა, ის რამდენიმე რომანის, მხატვრული პროზისა და ორი თეორიული/კრიტიკული წიგნის ავტორია. კელი ისეთივე გამომგონებელია პოეზიაში, როგორც პიკასო იყო მხატვრობაში: მას ძალუძს საზრიანად და წარმოსახვითად იმპროვიზირება წებისმიერ რამეზე, რაც მის ყურს, გულს ან ხედვას მოხვდება. კელი მიიჩნევს, რომ პოეტი ჰოლისტური მსოფლებელის მქონე მეცნიერია, პოეზია კი მთლიანობის მეცნიერებაა.

ჯერომ როთენბერგის ხურბნ (1989) ჩვენი დროის უდიდესი სერიული ლექსია; ამ მხრივ ის ამავე ზომისა და მნიშვნელობის სხვა ლექსების გვერდით დგას, როგორებიცაა ემე სეზერის მშობლიურ მხარეში დაბრუნების რეკულიდა ვლადიმირ ჰოლანის ლამე ჰამლეტთან. ებრაელთა აგონია სიკვდილის ბანაკებში საფუძვლიანადაა გამოკვლეუ-

ლი, დამოწმებული და დოკუმენტირებული, მა-  
გრამ, ჩემი ცოდნით, ხურბნ პირველი ამერიკული  
ლექსია, რომელიც ამ აგონიას ემოციურად, ინ-  
ტელექტუალურად და ნარმოსახვითად ამუშავებს.  
ის თავდაყირა აყენებს ადორნოს "აუშვიცის შემ-  
დეგ პოეზია ვერ იქნება"-ს და ამბობს: "აუშვიცის  
შემდეგ მხოლოდ პოეზია არის". მსგავსი გადა-  
აზრება ყველა პოეტისგან, ნებისმიერ ადგილას,  
მოითხოვს იმაზე ფიქრს, თუ რამდენადაა თვით  
პოეზია ასორმოცდათი მილიონი მოკლულის ენა.  
ხურბნ უზომოდ პირადული, შემზარავი, სინაზით  
სავსე და გამჭრიახი სტრუქტურის ლექსია. როდე-  
საც, რამდენიმე ათწლეულის წინ, პირველად მოვ-  
ისმინე, როგორ კითხულობდა მას როთენბერგი,  
ვიგრძენი როგორ ამოძრავდნენ მხეცურად დალუ-  
პულთა, ნლობით უხილავთა და გამქრალთა გველ-  
თევზები ჩემს კანქვეშ.

**ი. ყ.:** შენი შემოქმედების ნებისმიერი ყურა-  
დლებიანი მკითხველი, მნამს, შენიშნავს გადაკვე-  
თის წერტილებს შენსა და იმ პოეტებს შორის, რომ-  
ლებიც ზემოთ განიხილე. მაგრამ გარი სნაიდერზე  
წერ: "პოეზიაში არ არის სენსიტიური ან ტანჯული  
ფსიქოლოგიური სუბიექტი". მჯერა რომ შენი პო-  
ეზის ერთ-ერთი მთავარი, ხშირად გამანადგურე-  
ბელი ძალა სწორედ იმის უარყოფაა, რომ ლექსი

სრულებით დაიცალოს სენსიტიური და ტანჯული მე-სგან. ასეთი მე გვხვდება იმ ლექსებშიც კი, რომ-ლებიც თითქოსდა უშუალოდ ზედა პალეოლითს ეხება. ამ მხრივ, ვფიქრობ, შენი პოეზია, შეიძლება მეტად უახლოვდებოდეს პოეტებს, რომლებიც თარგმნე - ვაიქოს, სეზერს, არტოს, ჰოლანს; მრნამსით, რომ პირადი, ადამიანური "გულის სიბნელე" მარად უნდა დარჩეს ლექსში, მიუხედავად ტრანსპერსონალური სიღრმისა, სადაც შეიძლება ლექსმა ჩააღწიოს. გესახება ეს შენი შემოქმედების გარკვეული ასპექტის აკურატულ აღწერად? თუ ასეა, იქნებ ისაუბრო ამ აუცილებლობაზე პოეტისთვის, იყოს "სხვა", მაგრამ - მხოლოდ საკუთარ თავში და ცხოვრებაში ჩაღრმავების ხარჯზე?

**პ. ე.:** არ გეთანხმები, რომ - გციტირებ - "პირადი, ადამიანური "გულის სიბნელე" მარად უნდა დარჩეს ლექსში, მიუხედავად ტრანსპერსონალური სიღრმისა, სადაც შეიძლება ლექსმა ჩააღწიოს". გესახება ეს შენი შემოქმედების გარკვეული ასპექტის აკურატულ აღწერად? თუ ასეა, იქნებ ისაუბრო ამ აუცილებლობაზე პოეტისთვის, იყოს "სხვა", მაგრამ - მხოლოდ საკუთარ თავში და ცხოვრებაში ჩაღრმავების ხარჯზე?

მრავალ ლექსს სხვადასხვა ხელოვანზე, როგორებიც არიან კარავაჯო, სუტინი, ლეონ გოლუბი, უნიკა ცურნი და იერონიმუს ბოში; და ვაიეხოს, სეზერის, არტოს, მიშელ დეგის, ბეი დაოს, ვლადიმირ ჰოლანის და ხოსე ანტონიო მაზოტის თარგმანებს. თუმცა ვცდილობ, იმის უმეტესობაში, რასაც ვწერ, ავაგო პოლიტიკური ცნობიერება. იმასაც ვაცნობიერებ, რომ პოლიტიკურ აგენტაზე დამოკიდებულება ისევე ვნებს წარმოსახვას, როგორც - თვითცენტურა. თუ პოეტი ერთდროულად არ უარყოფს და აღიარებს, მიიღებს სამყაროს მშვენიერებას და საშინელებას და, ამავდროულად, - იმასაც, რასაც აღქმა და ქვეცნობიერი სთავაზობენ, მაშინ მხოლოდ გაუთავებელი "ოფიციალური სალექსო კულტურა" გვრჩება.

გარი სნაიდერი დაახლოებით ოცი წლის ასაკში გახდა ძენ ბუდისტი და თვლის, რომ რელიგია მისი ფსიქოლოგიური/სულიერი ცხოვრების ცენტრალური ნაწილია. 1996 წლის ინტერვიუში მან თქვა: "არ ვფიქრობ, რომ ხელოვნება რელიგიას ქმნის. ის უდავოდ გეხმარება, იკვლიომ შენი ცნობიერება, გონება და მოტივები, მაგრამ ეს არაა მისი პროგრამა... ვფიქრობ, ხელოვნება ძალიან ახლოა ბუდიზმთან და შეიძლება ბუდისტური პრაქტიკის ნანილი იყოს, მაგრამ არის ტერიტორიები,

რომლებიც ბუდისტურმა ფსიქოლოგიამ და ფილ-ოსოფიამ უნდა იკვლიონ, ხოლო ხელოვნების მცდე-ლობა იგივეს კეთებისა სისულელე იქნებოდა."

მე პრესბიტერიანულ ოჯახში გავიზარდე. მამა-ჩემი მღვდელი იყო ახლომდებარე პრესბიტერიანულ ეკლესიაში, დედაჩემი კი იქვე გუნდში გალ-ობდა. რელიგია არასდროს მაინტერესებდა და როდესაც პოეზია აღმოვაჩინე, მივხვდი, ეს იქნებოდა, რასაც ცხოვრებას მივუძღვნიდი და რაიმე დამატებითი ფილოსოფია ან რელიგია არ მჭირდებოდა იმის გასარკვევად, თუ რის მიღწევას ვცილობდი. მე რელიგიას ნეგატიურად ვაფასებ, არა მხოლოდ ზოგადად კაცობრიობისთვის, არამედ - კონკრეტულად ხელოვანებისთვისაც. ვფირობ, რელიგია ერთგვარი გამგებელია წარმოსახვითი მანქანისთვის, და ხელოვანები, რომლებიც 40-50 წლის ასაკში მორწმუნები ხდებიან, მიღიან დათმობაზე და საფრთხეში აგდებენ თავიანთ წარმოსახვით ფოკუსსა და ენერგიებს. ხანდახან მიფიქრია, რომ გარი სნაიდერი პოტენციურად ბევრად უფრო ველური კაცია, ვიდრე რისი უფლებაც თავს მისცა. მეორე მხრივ, ვაცნობიერებ რამდენად განსხვავდება მისი წარმომავლობა ჩემისგან, და რომ მისი პოეტური და ნატურალისტური საქმიანობა კოლოსალურია. იმ ხელოვანებისგან განსხვავე-

ბით, რომლებიც რაღაც შუა ხნის კრიზისის ნიადაგზე ეკედლებიან რელიგიას, გარი სნაიდერის ბუდიზმმა ფესვები მაშინ გაიდგა, როცა ის ოციოდე წლის იყო და მორების მზიდავად და ხანძრის გუშაგად მუშაობდა; მისი შედევრი, რომელიც ვახსენე, იმ გრძელი და ყოველდღიური მედიტაციის ნაწილია, რომლიდანაც ეს პოემა წარმოიშვა და რომლის მიხედვითაცაა ანუყობილი.

**ი. ყ.:** კვლავ სნაიდერს ვციტირებ შენი პასუხიდან, ხელოვნებისა და რელიგიის მიმართებასთან დაკავშირებით: "ხელოვნების მცდელობა იგივეს კეთებისა [იკვლიოს, რასაც რელიგია იკვლევს], სისულელე იქნებოდა." მიიჩნევ, რომ არსებობს ტერიტორიები, ხელოვნების მიერ რომელთა კვლევაც სისულელე იქნებოდა? განა ლექსი ყველაფრისადმი ლია არ უნდა იყოს?

**კ. ე.:** არ ვიცი რა იგულისხმა სნაიდერმა მაგნათქვამით, რომელიც ჩემთვის დღემდე საეჭვოა, სულაც გულუბრყვილო. თუ კი პოეტი და ბუდისტი გარი სნაიდერისთვის ცნობილია "ტერიტორიები", რომლებიც ბუდისტურმა ფსიქოლოგიამ და ფილოსოფიამ "უნდა იკვლიონ", მეჩვენება, თვითონ სნაიდერს უნდა შეეძლოს მათი კვლევა. ამ წინადაღებაში "სისულელეა" ყველაზე შემანუშებელი სიტყვა.

**ი. ყ.:** შეიძლება კიდევ რაღაც ხანს შევჩერდეთ ამაზე? მინდა განვმარტო, რას ვფიქრობდი, როდე-საც "სიბნელე" ვახსენე. ვფიქრობ, შენს პოეზიაში ვხვდებით რადიკალურ ხატს და აზრს, და ეს მაგო-ნებს შენს მოსაზრებას, რომ გარკვეული ტიპის პოეტი "ორმოს დირიჟორობს" და არა - ორკესტრს. ეს მე გავიგე, როგორც შენი მოთხოვნა, რომ პო-ეტმა (ლექსმა) იკვლიოს არაცნობიერი, უცნობი, უხილავი, გაუკვალავი. ამავე სახელწოდების წიგნ-ში (Conductors of the Pit, Soft Skull, 2005 - რომელშიც შენი თარგმანებია თავმოყრილი და რომელიც, გა-რდა ბრწყინვალე კრებულისა, თარგმანის სახელ-მძღვანელოდ მიმართია), გარდა პოეტებისა, რომლ-ებიც უკვე ვახსენეთ (ვაიხო, არტო, სეზერი, ჰოლ-ანი) შესულია კიდევ რემბოს "მთვრალი ნავი". აგ-რეთვე ვფიქრობდი, რომ კიდევ ერთი პოეტი, რომ-ელსაც თავისუფლად შეიძლებოდა, ორმოს დირი-ჟორი წოდებოდა, ლოტრეამონია, თავისი "მალ-დორორის სიმღერებით". შენს ესეში (წიგნიდან "თანა-მგზავრი ობობა") ციტირებ გასტონ ბაშლარის სი-ტყვებს ლოტრეამონზე: "არსებობს 'საჭიროება თავი გაიცხოველურო, რაც წარმოსახვის დასაბამია. წარ-მოსახვის პირველი ფუნქცია ცხოველი ფორმების ქმნაა.'" (უდავოდ გვაგონდება რემბოს პროგრამუ-ლი სიტყვები "მხილველის წერილებიდან").

შეგიძლია, ამ "ორმოზე" და გაცხოველების (თვით-? წარმოსახვის?) მოტივზე ისაუბრო, მის მნიშვნელობაზე შენს შემოქმედებაში? უდავოდ მიმაჩნია, რომ შენი კავშირი რადიკალურთან, გროტესკთან, ჰიბრიდთან, "ორმოსთან", სიბნელესთან და ცხოველურთან გაღრმავდა, სახეცვლილი და უფრო მნიშვნელოვანი ფუნქცია შეიძინა მას მერე, რაც მოხატული მღვიმეების და ზემო პალეოლიტიური წარმოსახვის კვლევა დაიწყე.

**პ. ე:** ჩემი მთავარი მრნამზი ისაა, რომ პოეზია ცნობიერების გაფართოებას ემსახურება, ქმნის სიმბოლურ ცნობიერებას, რომელსაც, თავის საუკეთესო მომენტებში, ძალუძს იმ დუალობების დაძლევა, რომლებშიც ადამიანური სამყარო ასე სასტიკად და მუდმივადაა, როგორც ჩანს, გამომწყვდეული. მაგრამ აფირმაცია მხოლოდ იმდენადაა სიცოცხლისუნარიანი, რამდენადაც შეუძლია, გაუძლოს ნეგაციაში მრავალ ჩაყვინთვას. გამუდმებით მხეცობასა და სიბინძურებელ კონცენტრირების პრობლემა ისაა, რომ ამ გზით სიმბოლური ცნობიერება სუსტდება, ბრტყელდება აგიტ-პროპისა და პოეტურად შენილბული უურნალიზმის წნეხის ქვეშ. როგორც ვთქვი, სიშავეს კაცობრიობის გულში იმ წარმოსახვითი სამყაროს მხოლოდ ერთ მნიშვნელოვან ასპექტად აღვიქვამ, რომლის შექმნასაც ვცდილობ.

მე მივედი რწმენამდე, რომ ეს "მე", ეს ულრანი ტყე, რომელშიც ვიმყოფებით, თავის მძლოლთან - ეგოსთან - ერთად, უნდა განხვნა და შეისწავლო, იმით, რასაც ანტიფონური დენა შეიძლება ეწოდოს, ნორთოფ ფრაის სიტყვებით "ბიკამერული გონებით, რომელშიც რაღაც სხვა ჩაანაცვლებს ცნობიერებას".

როდესაც ჩემს თავს და სხვებს შევთავაზე, და-ევიწყებინათ ორკესტრი და ორმოს გაძლოლოდ-ნენ, მე ვგულისხმობდი არა მხოლოდ ქვეცნობიერს, არამედ - დიდი გამყინვარების ხანის მოხატულ გა-მოქვაბულებსაც, ზედა პალეოლითურ ქვესკნელს. შენ "თვით-გაცხოველება" ახსენე. კომბარელის გამოქვაბულში სახითმეტყველების წარმოშობის შესახებ გამიჩნდა აზრი, რომ ის მოტივირებული იყო კრიზისით, რომლის დროსაც კრო-მანიონელ-მა ხალხმა ცხოველის განდევნა დაიწყო თავისი სამომავლო ადამიანის თავიდან, და ამ განსაღევ-ნი ცხოველის პროეცირება გამოქვაბულის კედელ-ზე მოახდინა, ისევე, როგორც - სხვადასხვა იარ-აღებსა და ხელსაწყოებზე, რომლებიც, ხშირად, თვით ცხოველისგან მზადდებოდა. ესე იგი, იმის გათავისუფლება, რასაც შეიძლება, ავტონომიური წარმოსახვა ეწოდოს, გამოიწვია პროექციულმა პასუხმა იმის მხრიდან, ვინც იბრძოდა, - განესხ-

ვავებინა თავი ცხოველისგან, თუმცა უზომოდ ღრმად იყო მასზე მიჯაჭვული. ეს უფრო განცხოველებას ჰგავს, ვიდრე - გაცხოველებას.

ცხოველისგან, როგორც ფორმაციული ფუნქციისგან, კრო-მანიონელი ადამიანის წარმოსახვის განცალკევება მიუთითებს ყოველდღიურ, პრაქტიკულ საფეხურზე, ადამიანურ და ცხოველურ სამეფოებს შორის ზრდად სიშორეზე. გამოვთქვამ ვარაუდს, რომ ეს პროცესი, ნაწილობრივ, დისტანციურად გამოყენებადი იარაღების შექმნამ გამოიწვია. შამანიზმი (ან, უკეთ, პროტო-შამანიზმი), შესაძლოა, სხორედ ამ განცალკევების პროცესისადმი რეაქციონერულმა შემობრუნებამ გამოიწვია: ლტოლვამ, კვლავ მიება ადამიანი სამოთხის შესახებ იმ ფანტაზიაზე, რომელიც არ არსებობდა, სანამ განცალკევება არ გამოაშკარავდა.

ლექსში "საქმენი ქმნილნი და გადატანილნი სინათლის მიერ", რომელშიც დირიჟორს მოვუნოდებ, ორმოს გაუძლვეს, აგრეთვე ვწერ: "ჩამომხრჩვალი / არიადნე / ჰადესში მშობიარე / არის მდიდარი, შავი მუსიკა დედის კერტში." ჰადესის ინტეგრირება (რომლის პირველი სახეც უდავოდ ეს მოხატული მდვიმეები იყო) ქვეცნობიერი ინფორმაციის და შრეების ასიმილაციას მოითხოვს, სიზმ-

რების, ენის ლაფსუსების, და იმპულსური ქცევის აღიარებით. ყველა ამერიკელი კაცი ყოველ დილით რომ დგებოდეს და ამბობდეს: "მე პოტენციური მკვლელი ვარ და პასუხს ვაგებ ყველაფერზე, რასაც დღეს ვიზამ ან დამემართება", და მართლა გულისხმობდეს, რასაც ამბობს, შეიძლებოდა, ამერიკა ნაკლებ ლეთალური ყოფილიყო. ჩემი ლექსის, "ხვიას" ბოლოში, მე ვცადე, დავკავშირებოდი ამ პოტენციურ მკვლელს ჩემში. ჩემს ყველაზე შავბნელ სპექტრს დავრთე წება, ელაპარაკა. 70-იანების შუაში, როდესაც, ამ ლექსის კითხვისას, ამ მონაკვეთს მივადგებოდი, თავზე ქალალდის პარკს ვიცვამდი, ორი თვალის ჭრილით (კუკლუქს კლანის ჩაჩის ერთგვარი კარიკატურა). მსმენელებს, ალბათ, გიურ ვეგონე, რაც, იმ მომენტში, ვიყავი კიდეც.

**ი. ყ.:** ვფიქრობ, ნორთროფ ფრაის ფრაზა ძალიან მნიშვნელოვანია ზოგიერთი მიმართულების გასაგებად, რომლებსაც შენ (და ზოგიერთი სხვა, შენთვის ახლობელი პოეტი) გაჰყევი შენს პოეტურ პრაქტიკაში.

შენ განამტკიცე ჩემი რწმენა, რომ სიბნელე და ორმო უნდა დავუკავშიროთ არაცნობიერს, ისევე, როგორც (და შენს შემთხვევაში, ალბათ უფრო საგულისხმოდაც) - სილრმეს, მღვიმეს, მღვიმის მხატვრობას, ზედა პალეოლითს. ეს მაფიქრები-

ნებს, რომ მიუხედავად იმისა, რამდენი ნეგატიური ენერგიის მოხმობა დასჭირდება ლექსს, ეს სიბ-ნელე, უპირველეს ყოვლისა, პოზიტიური, აფირ-მაციული ძალაა, დაკავშირებული წარმოსახვას-თან და ცნობიერების გაფართოებასთან. შეგიძ-ლია, მღვიმის თემა განავრცო? როგორ "შეაბიჯე გამოქვაბულში"; როგორ დაიწყო შენი 'გაჯერე-ბითი სამუშაო' და როგორ იქცა ეს ფიზიკური, უშუ-ალო პრაქტიკა, გამოქვაბულების კვლევა, შენი პოეზიის მთავარ ცენტრის წყაროდ?

კ. ე.: მე და ქერილი საფრანგეთში, დორდონის რეგიონში 1974 წელს ჩავედით. იქ მალევე გავიცან-ით არქეოლოგი ჰ. ლ. მოვიუსი, რომელმაც მოაწ-ყო ჩვენი ექსკურსია ლასკოს გამოქვაბულში. გიდ-მა, უაკ მარსალმა (რომელიც, 1940 წელს, იმ მცირე ჯგუფს ეკუთვნიდა, რომელმაც ლასკო აღმოჩინა), როტონდასთან, სრულ სიბნელეში დაგვაყენა. შემდეგ გავიდა და რამდენიმე წუთში სუსტი შუქი ჩართო. გამოჩნდა ოთხი უშველებელი ოროქსი, ერთდროულად მოძრავი და სტატიკური, მათ თით-ქმის ექვსი ფუტი ეკავათ დაგრეხილ, კრისტალურ-ად თეთრი კედლის სივრცეზე. მათ ქვეშ და გადა-ღმა, თითქოს ნაპკურები, მრავალი მიმართულებით მოძრავი, პატარა ცხენები და ირმები გამოჩდნენ. ყველანი მოჯადოებულები ვიდექით. ვფიქრობ, ამ

"მომენთა მომენტმა" ისეთი რამ გააუღერა ჩემში,  
რისი გაცნობიერებაც, რაზე პასუხის გაცემაც,  
მხოლოდ წიგნის, ღვიის ნადნობის (Juniper Fuse)  
დაწერით შემეძლო.

დამენც იმაზე წერა, რაც ლასკოს, კომბარე-  
ლის და ფონ-დე-გომის მღვიმეებში განვიცადე, კვ-  
ლევის ნულიდან, ჩანასახიდან დაწყებას მოითხოვ-  
და, და - ისეთი პოეტური გამოძიების წამოწყებას,  
რომელმაც 25 წელიწადს გასტანა. თუმცა ამ პერი-  
ოდმი სხვა პროექტებიც მქონდა - ლექსები, რომ-  
ლებიც პრეისტორიას არ ეხებოდა, სეზარ ვაიეხოს  
ტრილსეს თარგმანი, ესეები, რომლებიც წიგნ ან-  
ტიფონურ რხევაშია თავმოყრილი, და 19 წლის მან-  
ძილზე ჟურნალ Sulfur-ის რედაქტორობა - მღვიმეე-  
ბის კვლევაჩემი მთავარი საქმიანობა იყო. საუკეთე-  
სო შემთხვევაში, ყველა პოეტმა უნდა მოჰკიდოს  
ხელი მინიმუმ ერთ დიდ კვლევით პროექტს, რომელ-  
იც ისეთ მასალას შეიტანს პოეზიაში, რომელიც მან-  
ამდე მისი ნაწილი არ ყოფილა. ეს ერთი გზაა, შევი-  
ნარჩუნოთ ჩვენი ხელოვნების სიახლე და არ გავახ-  
უნოთ ის ნაცად და ძველ მელოდიებზე გაუთავებე-  
ლი ვარიაციებით. კვლევითი პროექტი აგრეთვე  
პასუხისმგებელს გხდის ისეთ ვრცელ მასალაზე,  
რომლის ასიმილაციაც დიდად სცდება პირადული  
ლირიკის საზრუნავს.

საფრანგეთში იმ დროს წავედი, როდესაც პო-  
ეტური შეგირდობის პერიოდი უკვე განვლილი  
მქონდა - წიგნებით ინდიანა (1969), სამსხვერპლოე-  
ბი (1971), ხვია (1973) - თვით-კონფრონტაციის  
წლები, რომლებიც ჩემი ინდიანაპოლისური წარ-  
მომავლობის ულმობელ გათხრას გულისხმობდა,  
ანუ ჩემი მოცემული ცხოვრების, თავისი რასის-  
ტული, ქრისტიანული და სექსისტური ღირებულე-  
ბებით. 1973 წელს ჩემი თავის ალტერნატივის პოვ-  
ნა მენადა. დორდონში გადასვლა უზენაესი წყალო-  
ბა იყო. უეცრად ამოვყავი თავი ძველისძველ,  
ტრანსპერსონალურ სამყაროში, რომელიც ჯერ  
კიდევ, ათწლეულიდან ათწლეულამდე, ავლენს  
თავისი უნინ ბრწყინვალე ჭურჭლის ნატეხებს.

**ი. ყ.:** შენ იყენებ ცნებას, რომელიც, ვფიქრობ,  
დააინტერესებდა (და, იქნებ, დააბნევდა კიდეც)  
მკითხველებს, რომლებიც ჯერ არ იცნობენ შენს  
შემოქმედებას და, ზოგადად, პრაქტიკას: ვგულისხ-  
მობ შეგირდობის ცნებას. "შეგირდობა" უცნაურად  
გაიშლერებს ბევრი ადამიანისთვის, ვინც დღეს კი-  
თხულობს ან ქმნის პოეზიას, და, ვფიქრობ, შენს  
მიერ ამ კონცეპტის შემოღება (ან დაბრუნება), მისი  
პოეტური პრაქტიკისთვის მორგება სრულებით უნ-  
იკალურია. შეგიძლია, მოკლედ განმარტო, რას ნი-  
შნავს შენთვის პოეტური შეგირდობა?

**კ. ვ.**: 1962 წლის ერთ საღამოს, კიოტოში, მეგობარმა, ამერიკელმა ლითოგრაფმა უილ პეტერ-სენმა, ახსენა, თუროგორ ენვია ბონზაის ბალს, რომლის მებალესაც ახლახან დაემთავრებინა თავისი შეგირდობა და ძალიან საინტერესო ნამუშევრებს ქმნიდა. შეგირდობაზე მანამდე არასდროს მეფიქრა და უილს ვკითხე, რამდენი წლის იყო ეს კაცი. "სადღაც სამოცი წლისაა", მიპასუხა უილმა. გარდა იმისა, რამდენად შემძრა იმის გაგებამ, რომ ხელოვანს შეუძლია, ამდენ ხანს იყოს შეგირდი, სანამ საკუთარი ხელოვნების კეთებას დაიწყებს, კიდევ გამიჩდა აზრი, რომ მიზეზი, რატომაც ვერ ვახერხებდი მნიშვნელოვანი ლექსების წერას ის იყო, რომ შეგირდობა არ მქონდა გავლილი. პოდა გადავწყვიტე, იმის ნაცვლად, რომ უბრალოდ მეცადა, წამეკითხა სეზარ ვაიქხოს ადამიანურ ლექსების 89 ლექსი, რომლებიც თან წავიღე იაპონიაში, იქნებ მეცადა, მეთარგმნა ისინი, რაც იქნებოდა ჩემი შეგირდობა პოეზიისადმი. ეს ნიშნავდა საოცარ თავდადებას, გონის და ფსიქიკის, ისევე როგორც დროის მიძღვნას, მითუმეტეს, რომ ჩემი ესპანური მნირი და თვითნასწავლი იყო, ვაიქხოს პოეზია კი რთული და გაუკალი. მაგრამ მსგავსი თავდადებით ხომ არ გავურბოდი, უბრალოდ, მძიმე შრომას, ჩემი საკუთარი გზა მეპოვა ჩემი პოეზი-

ისკენ? ან იქნებ ვაიეხოზე მუშაობა იყო ჩემსავე  
თავზე მუშაობა?

თარგმნაში, ისევე როგორც ჩემსავე ლექსებში,  
უცნაურ წინააღმდეგობას ვგრძნობდი, თითქოს  
ჩემი ყველა მცდელობა, დაგძრულიყავი, გზა გან-  
მეგრძო, ეჯახებოდა ძალას, რომელიც კვლავ უკან  
მისროდა. თითქოს ვაიეხოს გზით ჩემსავე ყოფი-  
ერებაში არსებულ ნეგატიურ წინაღობას დავუკავ-  
შირდი, დაბურულ სიღრმულ ნაღმს, რომელიც  
მრავალი წლის მანძილზე ვატარე. აგრეთვე, გამ-  
იჩნდა სასტიკი და პირქუში ფანტაზიები, რომელბ-  
საც თარგმნის და წერის კომბინაცია იწვევდა. გა-  
ვაცნობიერე, რომ ვებრძოდი კაცს, ისევე როგორც  
ტექსტს, და ამ ბრძოლაზე იყო დამოკიდებული, გა-  
ვხდებოდი პოეტი თუ ვერა, და რომ ეს კაცი იყო  
ძველი კლეიტონი, რომელიც შეცვლაზე უარს ამბ-  
ობდა. ძველ კლეიტონს სურდა, განეგრძო ცხოვრე-  
ბა თავის თეთრ, პრესბიტერიანულ "სინათლის" სამ-  
ყაროში - რომელშიც კაცი დაკავშირებულია  
დღესთან/სიცხადესთან/სიკეთესთან, ხოლო ქალი  
- ლამესთან/ბუნდოვანებასთან/ბოროტებასთან.  
სიბნელე, რომელმაც ჩემს მგრძნობელობაში იწყო  
ლერა, შეიძლება გავიგოთ როგორც რდვევა რწ-  
მენისა, რომ მამრი უპირატესი არსებაა, რომლიდან-  
აც მოედინება ამ "სინათლის" დიდი ნაწილი.

**ი. ყ.:**ჩვენ შევხეთ შენი შემოქმედების ადრეულ ეტაპს (შეგირდობა / ინდიანაპოლისურ წარსულ-თან ბრძოლა), ისევე როგორც იმას, რასაც, შეიძლება, დაღვინება ეწოდოს, როდესაც პოეტი სრულქმნილ, უნიკალურ ხმას იძენს (გაჯერების სამუშაო / რიტუალური ცხოვრება), რომელიც შენი წიგნით, ღვის ნადნობით დაგვირგვინდა (რომლის შექმნა-მაც ორ ათწლეულზე მეტხანს გასტანა), რომელიც მე არა მხოლოდ შენი შემოქმედებისთვის, არამედ, ზოგადად, ჩვენი დროის პოეზიის ცენტრალურ წიგნად, ქვაკუთხედად მიმაჩინია. არის კიდევ ერთი ეტაპი, რომელსაც ახლა ადგახარ და რომელსაც სხვა-გან "შეჯამება" უწოდე. როგორც მკითხველს, ამ ეტაპის მძაფრი განცდა პირველად ლექსში, "ჩუ-რუნგა", გამიჩნდა, სადაც პოეტის ცხოვრების საქმე, მისი ცხოვრება და ინტერესები თანავარსკვლავედს ქმნიან. მეჩვენა, რომ შენი ახალი კრებული, პენ-ტრალია (2017) ცენტრალურია შენს შეჯამებით ეტაპზე. შეგიძლია ამაზე ისაუბრო? ამის მიღმა, ვგრძნობ, სიტყვა "პენეტრალია"-ს განსაკუთრებული და მრავალმხრივი მნიშვნელობა უნდა ჰქონდეს შენს შემოქმედებაში - შეგიძლია, ახსნა რას ნიშნავს ეს სიტყვა შენთვის და ამ წიგნის კონტექსტში?

**კ. ე.:** მე ხშირად ვიღებ ჩემს 1955 წლის "უებსტ-ერის ახალ საერთაშორისო ლექსიკონს" და ალალ-

ბედზე ვკითხულობ რამდენიმე გვერდს. ერთ დღეს რამდენიმე წლის წინ, ამ საქმით ვიყავი გართული, როცა გადავაწყდი სიტყვას, "პენეტრალია", რომელიც ამგვარად იყო განმარტებული: "ნივთისა თუ ადგილის უღრმესი, ყველაზე ინტიმური ნაწილი, განსაკუთრებით ტაძრისა ან სასახლის". ამას მეორე განმარტება სდევდა: "საიდუმლო, ფარული რამეები; საყუდარი; ნაკრძალი; როგორც სახლის წმინდა პენეტრალია". რაკი მიზიდავს ჩემი წიგნების ისეთი სიტყვებითა ან ფრაზებით სახელწოდება, რომელებიც, ჩემი ცოდნით, სხვებს არ გამოუყენებიათ პოეზიის კრებულების სათაურებად, გადავწყვიტე, მაშინ უკვე ოთხმოც წელს მიღწეულმა, რომ პენეტრალია შესაფერისი და უნიკალური სათაური იქნებოდა იმისთვის, რაც შეიძლება ჩემი უკანასკნელი კრებული გამოდგეს - წიგნი, რომელიც მუდმივად უტრიალებს და ფიქრობს აღსასრულის საკითხებზე, ანდა შეჯამებით საქმიანობაზე. არის, ცხადია, ლექსები ამ წიგნში, რომლებიც პირდაპირ არ ეხებიან ამ თემას, მაგრამ წერის ტონი, რომელსაც მუდმივად გასდევს დასასრულის მწუხრი, ამართლებს ამ სათაურს.

შენ ახსენე ლექსი "ჩურუნგა", რომელსაც მე სულის ერთი ბოლოს საყრდენი ვუწოდე, რომლის მეორე ბოლოსაც "იორუნომადოს წიგნი" ამაგრ-

ებს. ამ ორს უჭირავს თავის ადგილას ჩემი დანარჩენი პოეზია. "ჩურუნგაში" მე წარმოვიდგინე ერთგვარი კომპლექსური მანქანა (იდუმალი რიტუალური ნივთის, არანდას რობერტ დანკანისეული წაკითხვით შთაგონებული), შედგენილი ავტორების, მითოლოგიური ფიგურებისა და მოვლენებისან, რომელთა ცვლადმა კომპინაციებმა ძირი გაუთხარეს და გეზი შეუცვალეს ჩემს ცხო-ვრებას ჩემი პოეტური შეგირდობის დროს, კიოტოში, ადრეულ 60-იანებში. სადღაც ორმოცდაოთხი წლის შემდეგ, ეს ძალები წარმომიდგნენ, როგორც ერთგვარი GPS, მარადცვლადი მონაცემებით, რომლებიც კარს კარზე ხურავდნენ და ახლებს ალებდნენ. ვიხსენებდი რა როგორ მიმითითა ვაიებომ ჩემს ნაწლავებზე (იორუნომადოს წიგნში) და მითხრა, რომ სეპუკუ უნდა განმეხორციელებინა, შემძრა ჯეიმს ჰილმანის სიტყვებმა: "შივა-განეშას, მამა-შვილის მოდელის მნიშვნელობა ამგვარად შეიძლება შეჯამდეს: დანებდი, რათა გიხსნან, განადგურდი, რათა გამთელდე, მსხვერპლშენირვის სისასტიკე არაა ტრაგიკული აღსასრული, არამედ აუცილებელი დასაწყისი მომდევნო წესრიგისაკენ... ღმერთი, რომელიც გტეხს, გქმნის; ნგრევა და შემოქმედებითობა, საბოლოო ჯამში, ერთი და იგივე წყაროდან მოედინება."

## ირაკლი ყოლბაია

### კლეიტონ ეპილმანი – სიღრმის გვალევარი

კლეიტონ ეშელმანი 1935 წელს დაიბადა ინდიანში – თავისი ვრცელი პოეტური ძიების მანძილზე ის მრავალ ადგილს დატვირთავდა მისთვის დამახასიათებელი მითოპოეტური სულით (პოეტის საქმე სამყაროს განსულიერებაა: ასეთია ეშელმანის ერთ-ერთი მთავარი კრედო), რომელიც ერთდრო-ულად არქაული, კოშმარული და კომიკურია. პირველი ლოკუსი ამ გზაზე სწორედ დაბადების ადგილი, ინდიანა: ახალგაზრდა პოეტს სწამდა, რომ პოეზიაში შეღწევის გზა ყველაფრისგან განთავისუფლებაა, ყველაფრისგან განწმენდა, რითაც "საკუთარმა კულტურამ" დაუსვა დალი. მსგავსი აქტი ალქიმიური გამოხდის პირველ ეტაპს, ნიგრედოს მოგვაგონებს, სადაც ალქიმიკოსს ჯერ საკუთარი ვილიფიგურა ("მანკიერი სახე") უნდა გაუმჟღავნდეს. გარკვეულწილად, ამ პროცესს გადმოსცემს ეშელმანის ერთი საკვანძო ლექსი, "ბილ ევანსის სიკვდილი", მაგრამ სხვაგანაც, ხშირად, ეს თვით-ეგზორციზმის სასტიკი პროცესი მისი პოეზიის მრავალ სხვა ასპექტთან თანაარსებობს (მაგალითად, "ჰადესი მანგანუმით").

არა მხოლოდ პოეტური ენისა თუ ხედვის, არა-  
ამედ სრულად ახალი პოეტური მეს ძიებამ ეშელ-  
მანი სახლიდან შორს, უცხო მხარეებისკენ მიმარ-  
თა: ჯერ მექსიკაში, პერუში, შემდეგ კიოტოში (სა-  
დაც იწერება მისი პირველი მნიშვნელოვანი ნაწარ-  
მოები, "იორუნომადოს წიგნი"), კიდევ უფრო მო-  
გვიანებით კიჩეხეთში, უნგრეთსა და სამხრეთ საფ-  
რანგეთში - ეს უკანასკნელი პირველ რიგში არა  
სივრცითი, არამედ დროში მოგზაურობაა: აქ ის  
ზედა პალეოლითური მოხატული მღვიმების კვლ-  
ევას იწყებს - რასაც, 70-იანებიდან მოყოლებული,  
თავისი შემოქმედების 30 წელს დაუთმობს. "გასხ-  
ვავების" მეორე ასპექტი თარგმანია, უფრო ზუს-  
ტად კი ის, რასაც ეშელმანი შეგირდობას უწოდებს,  
თავად კი პერუელ პოეტს, სეზარ ვაიეხოს უშეგ-  
ირდება. გასაოცარია, განსაკუთრებით ჩვენი  
დროის მწერალში, მსგავსი განცხადება: პოეტმა  
შეიძლება 25 წელი მოანდომოს შეგირდობას - "ჰა-  
დესი მანგანუმით" პირველი კრებული, რომელსაც  
დღეს ეშელმანი ბოლომდე აღიარებს, მან 45 წლის  
ასაკში დაწერა. ოცდაათამდე წიგნი, რომელიც მას  
მანამდე ჰქონდა გამოქვეყნებული, ახლა აღრეულ  
თუ შეგირდობის ფაზას მიეკუთვნება.

ვაიეხოს, ემე სეზერის, ანტონენ არტოს, უილ-  
იამ ბლეიკის პოეტიკა მისთვის მნიშვნელოვანი და

ახლობელია: მტკიცნეული პირადი გამოცდილება პოეტურ ალქიმიაში ხილვად უნდა იქცეს. პოეზიის მიღმა, თავიდანვე, მისი თანამგზავრები ფსიქოლოგის რადიკალური პრაქტიკოსები და მოაზროვნები, უილპელმ რაიხი, ნორმან ბრაუნი და ჯეიმს ჰილმანი არიან. მაგრამ ჭეშმარიტი აღმოჩენა, როგორც ხსენდა, სამხრეთ საფრანგეთის ზედა პალეოლიტური მღვიმებია: ლასკოს მღვიმეში თავის პირველ შესვლას ეშელმანი ისე ახასიათებს, როგორც პოეტურ ეპიფანიას. იმ წამიდან მოყოლებული, პოეტის ძიება სიღრმის კვლევას, წარმოსახვის წარმოშობას ეძღვნება. სიღრმე ერთდროულად ფსიქოლოგიური არაცნობიერიცაა, გეოლოგიური მღვიმეც და მითოლოგიური ქვესკნელიც. ამ სამის ნაზავია ის, რადაც ეშელმანის პოეზიაში ჰადესი სახელდება. [მნიშვნელოვანია, რომ შავ-ბნელი ფსიქიური და ფიზიკური რეალობის ძიებამ ეშელმანი ადრევე მიიყვანა გროტესკთან – ბახტინის ნაშრომი რაბლეზე მისი ერთ-ერთი სამაგიდო წიგნია; მხოლოდ ღრმა პოეტურ ლოგიკას ექვემდებარება ფაქტი, რომ, როგორც მოგვიანებით თავად აღმოჩინა, გროტესკი "გროტოდან" ანუ მღვიმიდან მომდინარეობს, მაშასადამე ურ-გროტესკი სწორედ ზედა პალეოლიტურ მღვიმეებში შექმნილი ხელოვნებაა].

განა ეს დალმასვლა პოეტის არქეტიპულ გზას არ ემთხვევა? ორფეოსის პირველი გამოვლინება ალბათ ის ჰიბრიდია (ხოლო თავად ჰიბრიდი - პოეტური მეტაფორის პირველწყარო), ის ჩიტის თავიანი, კაცის ტანიანი შამანი, რომელიც ბიზონს ეცეკვება ლასკოს ულრმეს წერტილში. მაგრამ, კიდევ ერთხელ, ამ გროტესკული რეალიზმის, ამ გამოცდილების საფასურის პასუხისმგებლობა ისიცაა, ჩახედოს ყველაზე ღრმასა და ბნელს ადამიანურ სულში.

რას ნიშნავს დღეს ადამიანის ულრმესი მღვიმის კვლევა? შეიცავს ეს მღვიმე ისტორიის კოშმარებს? შეიცავს, დღეს, ჰადესი სიკვდილის ბანაკებში დაღუპულებს? და არის თუ არა, მაშინ, პოეზია იმათი ხმებით ლაპარაკი, იმათთვის და იმათ ნაცვლად, ვინც ყველაზე მიუსაფარია, ყველაზე დაბლად და ყველაზე მეტადაა ნატკენი და ჩაგრული? სწორედ ესაა კითხვები, რომლებსაც ეშელმანის რწმენით, თანამედროვე პოეტი სვამს. ამერიკელი პოეტის ერთ-ერთი მთავარი თემაც სწორედ ესაა: რას ნიშნავს პოეტისთვის, იყო იმპერიალური ქვეყნის მოქალაქე? ალბათ, ეს გაუსაძლისი სიმძიმე და სიბნელეა, რომლითაც მისი პოეზიაა დატვირთული, ხსენებული ალქიმიური ნიგრედო, პოეტური გმირობა, საკუთარ თავში გაატარო, ეცადო, იმედ-

იტირო და პასუხი აგო არა მხოლოდ საკუთარ, არა-  
მედ სრულ ბნელ მასაზე, რასაც კი ადამიანები ვქმ-  
ნით. ცხადია, ესეც ქვესკნელში დაშვების მეორე  
მნიშვნელობაა, რამდენადც ძველი, არქაული ქვე-  
სკნელი, პირველწყაროს, არაცნობიერის უღრმე-  
სი ადგილი ადამიანის ცნობიერებამ აქცია ჯოჯო-  
სეთად, წარსანყმედელად, მარადიული დაღუპვის  
და სასჯელის ადგილად (ისტორიულ-რელიგიური  
ადამიანი მარადიული სასჯელისთვის ეშვება იქ,  
სადაც პრეისტორიული-პროტოშამნური აზრი  
ცოდნის, სიცოცხლის და ხილვის წყაროს ხედავ-  
და); თუკი აუმვიცი, დაპაუ და პიროშიმა ახალი ჰა-  
დესია (ახალი ლასკო?), ასევე მდიდარი მიწა, რომ-  
ელიც ამ ქვესკნელს შეიცავდა, ახლა ადამიანის მი-  
ერ უგულებელყოფილი, მომაკვდავი პლანეტაა.  
ეშელმანის ხედვაში მითოლოგიური, ფსიქოლოგი-  
ური, ეკოლოგიური და ისტორიული ჯაჭვები განუ-  
ყოფლად თანაარსებობენ.

პოეტის გზა ქვესკნელში დაშვების და ხელახ-  
ლა დაბადების არქეტიპული გზაა, რომელიც წარ-  
მოშობასა და აღსასრულს აკავშირებს - ისევ და ის-  
ევ, ტრაგიკული სარკე, სადაც ადამიანური წარმო-  
სახვის პირველწყარო პლანეტისა და მილიონობით  
ადამიანის დაღუპვასა და განადგურებას ირეკლ-  
ავს. ასეთია პოეტური გამოცდილების საფასური.



## CONTENT

Placements I: "The New Wilderness"	5
The Book of Yorunomado	10
Portrait of Vincent van Gogh	25
At the Tomb of Vallejo	31
Hadese in Manganese	36
Our Lady of the Tree-Pronged Devil	51
The Death of Bill Evans	59
Deeds Done and Suffered by Light	62
The Night Against its Lit Elastic	72
The Bison Keyboard	79
At the Speed of Wine	82
Short Story	106
Navel of the Moon	109
"You don't have to play someone else's melody - make up your own melody line!" (conversation with Clayton Eshleman)	115
Clayton Eshleman: The Keeper of the Depth (afterword by Irakli Qolbaia)	142

## სარჩევი

განლაგებები I: "ახალი უდაბურეთი"	5
იორუნომადოს წიგნი	10
ვინსენტ ვან გოგის პორტრეტი	25
ვაიგხოს საფლავზე	31
ჰადესი მანგანუმით	36
ჩვენი სამკაპა ეშმაკის ღვთისმშობელი	51
ბილ ევანსის სიკვდილი	59
საქმენი, ქმნილი და დაიმენილი სინათლის მიერ	62
ღამე თავის ანთებულ ელასტიკს აყუდებული	72
ბიზონური კლავიატურა	79
ღვინის სისწრაფით	82
მოთხრობა	106
მთვარის ჭიპი	109
 "არ ხარ ვალდებული, სხვის მელოდიას ას- რულებდე - შენი მელოდიური ხაზი შექმე- ნი!" (საუბარი კლეიტონ ეშელმანთან) ირაკლი ყოლბაია: კლეიტონ ეშელმანი – სიღრმის მკვლევარი	115
	142

ტირაჟი: 100 ცალი.